წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 31 მაისი 1915 წ. № 7

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა დილით 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ეღირება 5 მანეთი.



## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აუწყებს** საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების პირველ ხაზინადრის, მუზეუმ-წიგნთსაცავის გამგის და საბჭოს წევრის, განსვენებულის

## ალექსანდრე ივანეს ძის
## სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, გარდაცვალების დღიდან ერთი წლის შესრულების გამო, გარდახდილ იქნება პანაშვიდი ორშაბათს, 1-ელს თიბათვეს, ნაშუადღევის 2-ს საათზე, ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

(1-1)

## „ახალი კლუბის“ ამხანაგობის. საბჭო

აცხადებს, რომ 1 ივლისისათვის დანიშნული კლუბის გადასვლა საზაფხულო შენობაში **არ მოხდება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ფლიგელ-ადიუტანტის თ-დ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის დაკრძალვის გამო.**

კლუბის საზაფხულო შენობაში გადასვლის დღე ცალკე გამოცხადდება.

თბილისის ხელოსანთა **კლუბი** (მიხაილოვის პროსპექტზე)

**კვირის 31 მაისს, დილის 12** საათზე ქართული დრამატიული დასის სუფლიორის **ბ. ბეგლარიძის** მიერ გამართული იქნება:

## ხელოსან მწერალთა სალიტერატურო
## დილა

ლექციით და საკონცერტო განყოფილებით.

I.

**ლექცია—იოსებ დავითაშვილი**, როგორც შრომის მოციქული და ხელოსანი პოეტი.

II.

**ხელოსანი მწერლები** წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებს: ი. გარსევანიშვილი, გ. ქანტეხელი, ლ. მაისურაძე, ნ. ხოშრევანიძე, ა. განჯის-კარელი, რ. ჯიბლაძე, ს. ერთაწმინდელი, მ. ველისციხელი, ბ. ახოსპირელი და გ. ქუჩიშვილი.

III.

**საკონცერტო განყოფილება:** თარი, სიმღერები და სახუმარო სცენები.

**დასაწყისი დილის 12 საათზე**

ადგილების ფასი 10 კ. 80 კ-მდე. 2—2 გამგე **ბ. ბეგლარიძე.**

## ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

**კბილის ექიმი ქალი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**ქ. გორში**

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**დოქტორი მედიცინისა**

მიხეილ ანთიმოზის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ...ლლას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

**თიბათვის შუა რიცხვებიდან ღვინობისთვის ნახევრამდე**

ქირავდება **ერთი ან ორი**

## ოთახი

შეიძლება მოწყობილობით. ფასანაურის ქუჩა № 11. 3—2



**ტფილისი, 31 მაისი.**

**დღევანდელ კრების გამო.**

დღეს ქართულ გიმნაზიის შენობაში ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა კრება გაიხსნება. ქართულ გიმნაზიას განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენ ცხოვრებაში. ისეთს ხარჯს ეწევა ჩვენი ღარიბი საზოგადოება მის შენახვაზე, ისეთი „ტკივილი გულისა“ და ჯიგარი აქვს ზედ დაყრილი, ისეთ იმედებს ამყარებს, რომ სკოლა ღირსია საზოგადოების მეტადსერიოზული ყურადღებისა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც გიმნაზია აპირობს 1914 წლის 1 ივლისის კანონის ძალით განახლებას და მით ეროვნულ სკოლის ცხოვრებაში ახალ ნაბიჯის შედგმას. ჩვენ გამოვთქვით ჩვენი აზრი ამის შესახებ ჯერ კიდევ „კლდის“ ფურცლებზე, როცა სწავლა-აღზრდის საერთო სისტემაზე ვლაპარაკობდით. გუშინ ჩვენ გაზეთში ამავე საკითხის შესახებ დაიბეჭდა ამ საქმის მცოდნის აზრი. სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, რომელსაც ბევრი სალიპედაგოგიური აზრი აქვს გამოთქმული; ვეთანხმებით, რომ რეფორმით გამოწვეული საჭიროებანი, ქართული ენის ცოდნა მასწავლებელთა მიერ და საჭირო სახელმძღვანელოთა შედგენა, თუმცა არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ თუ საქმისადმი სიყვარული და რწმენა იქნება, დაუძლეველი არაფერი არ არის. მაგრამ ვერ დარწმუნებული ვართ, რომ დიდმნიშვნელოვანი კანონის განხორციელებასთან ცვლილება უფრო გადიდდება და, როგორც ერთხელ გამოვსთქვით „კლდეში“, გიმნაზიას სახეს სრულიად შეუცვლის.

სამწუხაროდ, ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან მოვლენის შესახებ ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით იმათი აზრი და შეხედულობა, ვინც არის მისი განმხორციელებელი, თუმცა საქმის სერიოზობა იმდენად დიდია, რომ სრული მოლოდინი უნდა გვქონოდა პედაგოგთა კრებული გაუზიარებდა თავის აზრს საზოგადოებას და, თუ დახმარებას არა, თანაგრძნობას და გამხნევებას მაინც მოითხოვდა მისგან. არ ვიცით, მაგალითად, რამდენად წარმოდგენილი აქვს ყველა ის შედეგები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სკოლაში რეფორმის შემოღებას უფლებისა და დანიშნულების მხრივ; არ ვიცით, რამდენად შესაძლოა პრაქტიკულად მისი განხორციელება, გინდ გაკვეთილების საჭირო რიცხვის შესრულების მხრივ. იმედია, დღეს კრებაზე მოვისმენთ დასაბუთებულს და გარკვეულს აზრს ყველა აღძრულ საკითხის შესახებ. მხოლოდ ის, რაც დღემდის ისმოდა ზოგიერთი მასწავლებელთა კერძო ბაასში და რაც გამომდინარეობს ანგარიშიდან, ამის შესახებ გულს საიმედოს ბევრს არას უბნობს. ძნელი წარმოსადგენია, რომ გიმნაზიამ დღევანდელი სახე და დანიშნულება შეინარჩუნოს, „სიმწიფის“ მოწმობისთვის ამზადებდეს მოწაფეს და ამავე დროს ახალი რეფორმით ნაყოფიერად სარგებლობდეს.

ყოველი ეჭვს გარეშეა თუ რა მძიმე პირობებს შექმნის და როგორ გააღრმავებს დღევანდელ უკულმართ ნაკლს გიმნაზიისას ამ ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, აზრის განხორციელება. ბავშვი უკანასკნელ კლასამდე უმთავრეს და უმეტეს საგნებს ქართულ ენაზე შეისწავლის, სამშობლო ენის აზროვნების კანონებს და ლოღიკას ღრმათ შეეთვისება, უკანასკნელ წლის განმავლობაში მას ყველაფერ ამას რუსულს ენაზედ გაამეორებინებენ და ასეთი მომზადებით წარადგენენ ოლქიდან გამოგზავნილ დეპუტატის წინაშე. შედეგი ასეთი გამოცდისა ჩვენთვის აშკარაა. არ გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ, მეტადრე ასეთ საგანზე, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჩაჭრილთა რიცხვი იმრავლებს. ამით გამოწვეული ბუნებრივი ცდა მისი თავიდან აცილებისა უფრო გააღრმავებს დღევანდელ უმთავრეს ნაკლს. უფროს კლასებში, რამდენათაც ბავშვი გამოცდას მიუახლოვდება, იმდენათ საჭირო გახდება მოწაფეთა „გაცხრილვა“. და დღეს, რომ რვაასი კაციდან ასეთი მცირედი პროცენტი ათავებს, მაშინ გამთავებელთა რიცხვი უფრო მცირე იქნება. მეოთხე კლასიდან დაწყობილი რიცხვი სკოლიდან დათხოვნილთა იმდენად იმატებს, რამდენადაც დიდი იქნება შიში გამოცდის წინაშე. იმრავლებს რიცხვი საცოდავთა, რომელნიც ცხოვრებისათვის მოუმზადებლობის გამო, უბრალო ხელობასაც ვერ მოჰკიდებენ ხელს, როგორც ეს დღეს ხდება, და სამსახურშიაც ვერ შევლენ, რადგანაც ამ კერძო სკოლის მოწმობა ამის უფლებას არ მისცემს. ძალების ამგვარი შეწირვა ისეთ ერისათვის, როგორიც ჩვენა ვართ, შეუწყნარებელია. საუკეთესო, ჩვენი აზრით შეუძლებელი შემთხვევაც რომ წარმოვიდგინოთ, ეროვნულის შეხედულობით ჩვენ არაფერს ვიგებთ. უკანასკნელს წლებში პირდაპირ კანონიერ მოვლენათ გადაიქცა, რომ უმრავლესობა იმ მცირე რიცხვისაც, რომელიც ათავებს გიმნაზიას, სამხედრო სამსახურში შედის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ ახალგაზრდობას იქაც ურჯის გული სამშობლოსათვის, მაგრამ თავის მდგომარეობით სრულიად გამოუსადეგარ ელემენტათ ხდება მისთვის. ესეც რომ არ იყოს. ნაწილმა კიდეც რომ დიაღწიოს თავი სამხედრო სამსახურს, კლასიკური გიმნაზია იქითა ჰრის ადამიანს, საიდანაც ჩვენს ცხოვრებას არავითარი სარგებლობა არ აქვს. ამას უეჭველად მოსდევს ასეთი კითხვა: ღირს თუ არა ამ უკანასკნელ მოვლენას შევწიროთ ის დიდი პრინციპი და ის მომხიბლავი პრესპექტივა, რომელსაც გვიქადის ახალი კანონი. რას დავკარგავთ, რომ მოწაფენი სრულიად არ მივიყვანოთ კლასიკურ გიმნაზიის „სიმწიფის“ მოწმობის ასაღებათ? პასუხი ერთია: რამდენიმე ათეულს „პრაპორჩიკს“ წელიწადში.

სამაგიეროთ მოგება დიდი იქნება. დანაკარგს სკოლა სხვა მხრივ აინაზღაურებს. იგი შეიტანს თავის სამეცნიერო ციკლში ჩვენთვის საჭირო საგნებს და განცხოველებული უდიდესი პრინციპით —ცხოვრებისათვის მომზადებულ პიროვნებათა აღზრდით—ყოველ წლიურად სრულს რვაასი კაცის შესაფერ პროცენტს ინტელიგენტ ძალებისას მისცემს ჩვენს ქვეყანას. რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამას, მეტადრე თუ საშუალო სასწავლებელს ისეთი მთლიანი და დამთავრებული სახე მიეცა, როგორც დღეს სამინისტროში ჰფიქრობენ, ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია.

დამეთანხმებით, რომ ჩვენი ცხოვრება ეხლა სწორედ ამგვარ მუშაკს მოითხოვს. ეროვნის მოლოდინშიაც რომ არ ვიყოთ, ჩვენში დაწყებული ეკონომიურ მოძრაობა-ალორძინებას სჭირია სამშობლოს ინტერესებით გამსჭვალული, დამოუკიდებელ რწმენით აღჭურვილი მუშაკი. ასეთი მუშაკის აღზრდა კი ქართული სკოლის საქმე უნდა იყოს. ვინც შესძლებს და ისურვებს უმაღლეს სწავლის მიღებას, მისთვის გზა ფართოა, კარი ღიაა, საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტია. ამას კი ჩვენთვის დიდი უპირატესობა ექნება. უდიპლომობა ჩვენთვის მავნე მოხელეობის გზაზე არ დააყენებს ასეთ ახალგაზდობას და თავის ენერგიას და ძალას ქვეყნის სიმდიდრის დამუშავებას მოახმარებინებს.

ვინც დაჰკვირებია ჩვენს ცხოვრებას, დამეთანხმება რომ თუ სახარბიელო რამ ახალი მოიგება ჩვენს ცხოვრებაში, ამ „უდიპლომო“ ელემენტის მიერ არის შექმნილი. გარდა ამისა ისტორიაში ისეთი მაგალითი არ არის, რომ ერს დამოუკიდებელი ინტელიგენცია არა ჰყავდეს და საღი ეროვნული იდეოლოგია ჰქონდეს შემუშავებული. აი ასეთ პერსპექტივას გვიხატავს ახალი კანონი და მისი ლოღიკური განხორციელება.

ამბობენ, რუსული ენის გაკვეთილების გამრავლებით უპირობენ საქმეს მოვლასო. ჩვენის აზრით ეს შეუძლებელია. რომელი საგნის ხარჯზე უნდა გაამრავლონ ეს რუსული ენის გაკვეთილები, მეტადრე დღეს, როდესაც არ ვიცით რა სახით გამოვა საშუალო სასწავლებელი იმ სარეფორმო მშობიარობიდან, რომელსაც განიცდის იგი. თუ მას დამთავრებული ხასიათი მისცეს, როგორც უპირობენ, მრავალი ახალი საგანი შევა სამოსწავლო ციკლში და ყოველი იმედი რომელიმე საგნის გაკვეთილების მომატებისა ფუჭი იქნება.

რაიმე გზით კიდეც რომ განახორციელონ ეს წადილი, მისი მნიშვნელობა მაინც დიდად საეჭვოა. დღემდის „კურსოვნიკების“ მარცხს იმითი ხსნიდენ, რომ ეს მოწაფენი იმ დროისანი არიან, როცა მოწაფენი რუსულს მხოლოდ პირველ კლასში იწყებდენ ლექსიურად და **საგნების რუსულად სწავლას-კი მე-III კლასიდან.** (ანგარ. გვ. 5. მეოთხე პუნქტი). უკანასკნელს ისეთი უპირატესობა აქვს რუსული ენისათვის, რომ რაც უნდა მოუმატოთ გაკვეთილები, იგი ამ დაკარგულ მდგომარეობას ვერ აინაზღაურებს.

ეს მოვლენა კიდევ უფრო ასაბუთებს ჩვენ მოსაზრებას და ავალებს ყველას უფრო დიდის დაკვირვებით მოექცეს საგანს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სკოლა ყოველგვარ დაუფიქრებელ მოსაზრების ექსპერიმენტად გადაიქცეს.

კრებას სხვა საკითხებიც აქვს გადასაწყვეტი და მათ შორის—საკითხი მოსამსახურეთა ახალი შტატის შემოღებისა. რასაკვირველია, უმთავრესი პირობა სკოლის ავ-კარგიანობისა მასწავლებლის ავკარგიანობა არის. კარგ სკოლისათვის კარგი მასწავლებელი არის საჭირო. კარგი მასწავლებლისათვის კი კარგი პირობანი, მატერიალური უზრუნველყოფა, ისეთი ჯაფის დაკისრება, რის დაძლევაც შეუძლიან, რომ თავისი კულტურული სახე არ დაჰკარგოს, თავისუფლად აამუშაოს გონება და სინიდისი. ამ მხრივ შტატის შემოღება აუცილებელი საჭიროება იყო. იგი, როგორც სჩანს ანგარიშიდან, საერთო დებულებაზედ არის დამყარებული. საერთო დებულება კი, ჯაფის განაწილების მიხედვით სამართლიანია და გუშინდელ ავტორის ზოგიერთს აზრს ამის შესახებ გადაჭარბებულად ხდის. დროებითი პირობანი მისაღებია, მათ სამართლიანად დროებითი დაკმაყოფილებაც უნდა, მაგრამ ამ დროებითმა პირობებმა გავლენა არ უნდა იქონიოს საერთო დებულებაზედ. რასაკვირველია კომიტეტმა დამსახურებული „უდიპლომო“ მასწავლებელთა შრომა ღირსეულად და საკადრისად უნდა დააფასოს, მათს ძნელ პირობებში ჩაყენებას უნდა ერიდოს.

მრავალი სხვა საკითხი აქვს გადასაწყვეტი კრებას. ბევრი მათგანი შემდეგ წერილის საგნათ გვექნება, დღეს-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული გიმნაზია, თუ სავსებით ისარგებლებს ამ ახალის კანონით, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ქვეყანას და სრულიად გაამართლებს იმ ხარჯს, რომელსაც ეწევა ქართველისაზოგადოება, და იმ იმედებს, რომელსაც ეს საზოგადოება ამყარებს გიმნაზიაზედ.

ქართულ გიმნაზიაში თავი მოყრილი აქვს ისეთ სამოსწავლო მასალას, რომელსაც იშვიათად შეხვდება მასწავლებელი სხვაგან.

რვაასი ქართველი ბავშვი, ბუნებით ნიჭიერი, კეთილი, ადამიანის მოსიყვარულე, სიამაყით და თავმოყვარეობით სავსე, ერთგვარის სულიერ განწყობილებით—ეს ისეთი მასალაა, რომ კარგი ხელმძღვანელი ერისათვის დაუფასებელ მუშას აღზრდის, თუ გრძნობიერად, ფაქიზად მოეკიდება მათ და ყოველგვარ „სიმწიფის“ ექსპერიმენტად არ აქცევს მას.

ახალი კანონი ამის საშუალებას გვაძლევს.

## მიმოხილვა

ნემანის ნაპირიდან, სადაც მას მდინარე დუბისა ერთვის, შავლამდე და ჩრდილეთითაც ბრძოლა თანდათან ცხარდება. შავლის წინ რუსებს კიდევ მოუგერებიათ გერმანელთა ცხარე იერიშები, მაგრამ მოპირდაპირეს წინ წამოუწევია ამ ფრონტის წვერებზე: მარცხნივ შავლისა და მურავიოვის შუა მას გადაულახავს რკინის გზა და მიუღწევია შაკინოვამდე, ხოლო მარჯვნივ შავლიაპიდან დუბისამდე ამოსულა, მაგრამ რუსებს აქ გაუმარჯვნიათ და ხაზი გაუსწორებიათ.

გუშინ ცნობა იყო, რომ ვისლის მარჯვენა ნაპირზე ცხარე საარტილერიო ბრძოლა არისო, დღეს კი არც ამ ფრონტისა და საზოგადოდ არც პოლონეთის ფრონტის შესახებ არაფერია ნათქვამი. კერძოდ იუწყებიან მხოლოდ, რომ გერ-

მანელები გალიციიდან და სხვა მხრიდან დიდძალ ჯარს უყრიან თავს კელცის მიდამოებში.

შეიძლება ეს ცნობა მართალიც იყოს მაგრამ საეჭვოა, რომ გალიციაში ჯარი შეესუსტებინათ, რადგან ეს კუთხე ეხლაც მთავარი ველია ბრძოლისა. ავსტრო-გერმანელებს განუწყვეტელი იერიშები მოაქვთ მოსცისკაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერას ხდებიან. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მდინარე ტისმენცისა და სვიკას შუა რუსის ჯარი ნელ-ნელა წინ მიიწევს. რუსის ჯარი ბუკოვინაში პრუტის ხეობით უკან იწევს, სტანისლავოვი მიუტოვებია და დნესტრის ნაპირებზე იკრიბება.

მ. ბ—ლი.

# დეპეშები

**თბილისი, 29 მაისი. კავკასიის ჯარის მთავარ შტაბისაგან. 27 მაისს ზღვის გასწვრივ სროლა განახლდა. ოლთისის გეზით რუსის ჯარებმა აოტეს ოსმალთა ჯარები არკინს-აშმუშუნის რაიონში, სევრიჩაის ღელეში. ვანის რაიონში რუსის ჯარებს ნებდებიან ქურთები, რომელნიც ხალილ-ბეის ჯარებში იყვნენ.**

**ნიში,** 28 მაისი. დილით ავსტრიელთა ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო კრაგუევაცთან. 3 მოკლულია, დაიჭრა ათი. სერბიელმა მსროლელებმა ტყვიის მფრქვეველებიდან დაუშინეს. ჰაეროპლანი ავსტრიის ტერიტორიაზე ჩამოეშვა.

**პეტროგრადი.** 29 მაისი. უმაღლესი შტაბის ოფიციალური ცნობა. ღამით, 28 მაისს და შემდეგ დილას გერმანელებს დაჟინებით შავლზე მოჰქონდათ იერიშები დასავლეთით, კუჟუსა და სინორაიცთან. ზოგიერთ ადგილას გერმანელებმა რუსთა მართულის ხლართულებთან მოაღწიეს, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. რუსთა თხრილების წინ მათ მრავალი დაჭრილ-დახოცილი დასტოვეს უპატრონოდ. შავლის ჩრდილოეთით გერმანელთა ცხენოსანმა რაოდენადმე წინ წაიწია შაკილოვისკენ. შავლიდან დუბისის მარცხენა ნაპირზე შეტიკოლამდე რუსები შეტევაზე გადავიდნენ. აქ გერმანელებმა წამოაყენეს ძლიერი ძალები, მაგრამ მაინც უკუგდებულ იქნენ რუსების მიერ, 500 ტყვე დაუტოვეს, რამდენიმე ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და სხვა. გერმანელები 27 მაისს უშენდნენ ზარბაზნებს ოსოვეცს.

გალიციაში, 27—28 მაისს გერმანელებს ამაოდ მოჰქონდათ იერიშები მოსცისკზე. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე 27—28 მაისს რუსებმა გაიმარჯვეს და კარგა ბლომად წამოიყვანეს ტყვე. დავლად დარჩათ ტყვიისმფრქვეველი, სურსათი, რომლის რაოდენობა ჯერ გამოანგარიშებული არ არის. რომ გერმანელებს უკუქცეული ჯარები დაეფარათ, მიკოლაევის მხრით ჯავშნიანი მატარებელი და ხუთიც ასეთივე ავტომობილი გამოუშვეს. რუსებმა მაინც განაგრძეს იერიში. სწრაფი წინ წაწევით გარშემოერტყნენ ავსტრიელთა ერთ როტას და დაატყვევეს. დნესტრის მარცხენა ფრონტზე 28 მაისს ღამიდან მოკიდებული დიდი ბრძოლა ხდებოდა სოფ. გოლეშევისა, ლაპშინისა, ნოვოჩინისა, ვიშნიოვისა და ეოზასისის მიდამოებში, სადაც, როგორც წინადაც გადმოგვცემდნენ, ავსტრიელები სასტიკად დამარცხდნენ და რუსებს დავლად დაუტოვეს 10 ზარბაზანი, 18 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი ტყვე. 27 მაისს გერმანელთა იერიში გალიჩთან მოგერიებულ იქმნა რუსებისაგან. რუსები შეეცადნენ ფრონტის გასწორებას. წინა დღეებში უომრად დასტოვეს სტანისლავოვი. ეხლა მის მიდამოებში პოლლუესთან გერმანელთა იერიში მოიგერიეს. იზონტინის მიმართულებით რუსებმა კონტრ-იერიშის დროს ტყვედ წამოიყვანეს 1,100 კაცი.

**მოსკოვი.** ქალაქ მოსკოვის მთავარმართებელი აცხადებს: ოცდა-რვა მაისს მოსკოვის ქუჩებში ფრიად სამწუხარო ამბავი დატრიალდა. საქმე იმით დაიწყო, რომ ჩვენი მტრების ქვეშევრდომები გამორეკეს ქარხანა-ფაბრიკებიდან. სულ მალე ამ ვითარებამ ყოვლად შეუწყნარებელი სახე მიიღო. ბრბო ამსხვრევდა მინებს, ამტვრევდა და არ ზოგავდა მაღაზიებს, რომელზედაც უცხო გვარები იყო წარწერილი; ტაცობდენ უპატრონო საქონელს. ამ სამარცხვინო საქმეში საეჭვო გარეგნობის ქალები ც მოზრდილებიც ერივნენ. ამ უწესოების გამო, საჭიროდ მიმაჩნია გამოუცხადო მოსკოვის მცხოვრებთ, რომ წესების ყოველი დარღვევა რუსეთის შინა ცხოვრებაში სულის სიმხნევეს მატებს ჩვენს მტრებს, გამკლავების ღონეს უორკეცებს და აგვიანებს მათზე ჩვენ საბოლოო გამარჯვებას. მოიგონეთ რუსები, თქვენი მამაცი ძმები, ბრძოლის ველზედ რომ ასე თავგამოდებით იბრძვიან. ისინი იფარვენ სამშობლოს ტევტონთა შემოსევისაგან. მოიგონეთ, რომ რუსეთის ინტერესის დარაჯად სდგას ხელმწიფება, რომელიც დაწესებულია მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მიერ. ეს ხელმწიფება შესძლებს ალაგმოს ბოროტი ხალხის მავნე ვნებანი რუსეთის სამტროთ აღძრულნი და ზნე-ახდილი ბრბოც, რომელსაც მიუთვისებია თვით-განსჯის უფლება, როგორც მატარებელი ამ ხელმწიფებისა, მოსკოვში ჩემი დანიშვნის პირველ დღიდანვე შეუდექი ბრძოლას გერმანული ძალადობის წინააღმდეგ და შევძლებ კიდეც დავიცვა ინტერესი სამშობლო ქალაქისა მტარვალი პირებისაგან და მიუწყებია ყველასათვის, არვის უფლებას არ მივსცემ ჩაერიოს ჩემს განკარგულებებში. ამასთან ისიც გამომიცხადებია, რომ სასტიკად შევმუსრავ ყოველ ძალადობის ჩადენას თუ კერძო პიროვნებისა, თუ დოვლათის წინააღმდეგ, თუნდაც რომ ეს ჩვენი მტერი ერების ქვეშეერდომთ ეკუთვნოდეს. აღმიკრძალავს ყოველივე შეკრება და მანიფესტაციები.

**მოსკოვი,** 29 მაისი. მოსკოვის ქალაქის თვითმართველობამ საგანგებო სხდომა გამართა ღამის 1 საათზედ. სხდომას დაესწრნენ მთავარმართებელი გრაფი იუსუპოვი და ქალაქის უფროსი ადრიანოვი. კრების გახსნის უმალ ქალაქის მოურავმა, ბ-ნმა ჩელნოკოვმა გამოაქვეყნა ხმოსანთა შემდეგი დებულებანი: 1) ეთხოვოს ქალაქის მოურავს მიმართოს მოსკოველებს ქალაქის თვითმართველობის სახელით, შეაჩერონ ულირსი „პოგრომები“, 2) მიმართოს მოსკოვის ქარხანა-ფაბრიკების მუშებს დასჭიმონ მთელი თავიანთი ძალღონე და ქარხანა-ფაბრიკებში მუშაობის შეჩერება არ მოახდინონ, ვინაიდგან სამუშაოს ყოველი დაგვიანება—მტრის გამარჯვება იქნება, 3) ეუწყოს ქალაქ მოსკოვის მთავარმართებელს, რომ მას ქალაქის თვითმართველობა მიმართავს დაჟინებულის თხოვნით, შეაყენოს სრვა-ხოცვა, რომელიც, მიუხედავად გარდასული ჟამისა, უფრო და უფრო ედება ქალაქს და რომ ქალაქის თვითმართველობა აზრშიაც არ გაიტარებს, რომ ამაღამდელი ღამე ახალი შემზარავი ამბების მოწამე გახდება.

სხდომამ უკამათოთ მიიღო ეს დებულებანი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

გაზეთ „რეჩს“ გადმოცემით, გერმანელები თავის ძალას და მოქმედებას ლვოვის გარშემო უყრიან თავს. მოსცისკის მხარეს ჯარი 50 ვერსზეა გაშლილი. სტრიის მხარეს—37 ვერსზე. ლვოვს ჯერ არ დაუკარგავს სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომ მოწინააღმდეგის იერიშებს თავგამოდებით იგერიებენ რუსები. ლვოვის ხელში ჩაგდება დიდ საჭიროებად მიაჩნიათ გერმანელებს. ამით მათ ჰსურთ შეჰქმნან შთაბეჭდილება, რომ მთელი გალიცია უკან დაიბრუნეს. „ტ. ლ.“

—

„გამიდიე“ რამდენადმე დაზიანდა და კონსტანტინოპოლში მივიდა. „გებენი“ უკვე შეაკეთეს და ბოსფორში იმყოფება.

—

„ნოვოე ვრემ.“ პარიზიდან ატყობინებენ: აქ ამბავი მოვიდა. რომ ავსტრიელთ განზრახვა აქვთ ვენეციასაც ისე სასტიკად მოეპყრან და ზარბაზნები დაუშინონ, როგორც ეს ჩაიდინეს გერმანელებმა რეიმსის ტაძრის დასანგრევადაო. შესაფერ-ზომები მიიღეს ძველ ძეგლთა დასაფარავად.

—

„ბირჟ. ვედ. კიევიდან ატყობინებენ: ტყვე ოფიცერთა შორის ურევია ქალი აფიცერი, რომელიც ჯარში ამ ახლო წარსულში შესულა.

—

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტმა, ანტონოვმა ინახულა ჟირარდოვის ლაზარეთი. ავადმყოფთა შორის არც-ერთი არ არის დაჭრილი, ყველა გაზით მოშხამულია. ავადმყოფნი მოგვითხრობენ, რომ გაზით არა მარტო ჩვენ ვიშხამებოდით, [illegible] თვით ნათესი ყანებიც-კი ერთიანად გაშავდა, ცხენები გალულა, სულდგმულს სულს უხუთავსო.

იმავე გაზეთს ატყობინებენ: მიუნხენში ბავარიის მეფემ სიტყვა ასე დაათავა: ბევრი სისხლი დაიღვარა, მაგრამ ამაოდ არ ჩაივლის. გერმანია ნაყოფად მიიღებს სახელმ[illegible]ს საზღვრების გაფართოებასაო.

—

იტალ[illegible]ა და ოსმალეთის შორის გაჩაღებული მოლაპარაკებაა მათს მომავალს დამოკიდებულებაზე. როგორც ამბობენ, იტალია ურჩევს ოსმალეთს სეპარატიული ზავით შეეკარი მოკავშირეებსო.

—

„რეჩი“ სწერს: გალიციაში ავსტრო-გერმანელნი დიდ ძალ ჯარს უყრიან თავს ლვოვის მიმართულებით. მოსციხიდან ლვოვისკენ 50 ვერ, წაიწიეს, ხოლო სტრიის მიმართულებით 37 ვერსამდე. ლვოვს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა. ამიტომ მტრის აქეთ წამოსვლას დიდს წინააღმდეგობას უწევენ. ლვოვის დაჭერა მტრისთვის ფრიად საგულისხმიერო საქმეს წარმოადგენს. ამით მას ჰსურს ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნას, ვითომც მთელი გალიცია განთავისუფლებულიყოს.

**ხორალის რეკვიზიცია საფრანგეთში.**

მთავრობის ბრძანებით ყველას უნდა ჩამოერთვას რაც რომ ხორბალი აბადია. ფასი წინდაწინვეა გადაწყვეტილი. შემდეგში ამავე ფასად ისევ ხალხს დაეთმობა ხორბალი, ერთგვარის წესის შეტანით. (ტემპს).

**რამდენ[illegible]ნის საყოფი პურია საფრანგეთში?**

მთავრ[illegible]ამ განკარგულება მოახდინა გამოეძიათ, თუ რამდენი ხორბალი იყო მთელს საფრანგეთში. აღმოჩნდა, ადგილობრივი ხორბალი თუ უცხოეთიდან მთავრობის ზრუნვით შემოტანილი მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე აუვიდოდა საფრანგეთის მკვიდრთ. შუა მარიამობისთვიდან მოკიდებული უკვე ახალი მოსავალიც შემოდის ხმარებაში. (ტემპს).

**პური გამოიზოგეთ.**

ამ ომის დროს გერმანული გაზეთები უფრო პრაქტიკულ დარიგების ფურცლებს მიაგავს. დოკტორული კილო და მეტაფიზიკური ძიებანი, რაიც გერმანულ გაზეთებს ახასიათებდა ჩვეულებრივ, სრულიად გამოიცვალა. პრესა ცდილობს რეალური გავლენის მოპოებას ხალხში და დისციპლინის შეტანას ყოველ დღიურ ცხოვრებაში. მოწინავე წერილის კითხვის დროს უცბად სრულიად მოულოდნელათ წააწყდებით „პური გამოიზოგეთო“. ერთბაშად ეს სასაცილოთ ეჩვენება ადამიანს, მაგრამ ამას ერთი დაუფასებელი სარგებლობა მოაქვს, სახელდობრ ისა, რომ ყოველმა გერმანელმა იცის თუ როგორ ემსახუროს თავის ქვეყანას პირადი გავლენისა და მოქმედების ფარგალში. (ტემპს).

**ფრანგულ-ინგლისური გაზეთები გერმანიაში.**

გერმანიის სხვა და სხვა ქალაქში დღესაც ბლომად არის მოფენილი ფრანგულ-ინგლისური ჟურნალ-გაზეთები. თითქმის ყოველგან ახდილათ ჰყიდიან. „ტანი“, „ფიგარო“, „ეკოდეპარი“, „ტაიმსი“ და სხვანი ბერლინის კიოსკებში „ბერლინერ ტაგებლატის“ გვერდით აწყვია. ხშირად დაინახავთ, რომ ქუჩაში ყრია ნაკუწ-ნაკუწ ქცეული ფრანგული გაზეთი. ზედ აწყვია, მის წამკითხველს რომ ბრაზი მოსვლია და ჯავრიც ამოუყრია. (ფიგარო).

**ლაღობს წარბ-შეკრული ბერლინიც.**

დღისით ბერლინში მოწყენილობაა, საერთო უხალისობა. სამაგიეროდ, დაღამდება თუ არა, სიცოცხლე დუღილს იწყებს. აუარებელი ხალხი ირევა ქუჩაზე თეატრ-მუზიკ-ჰალებისა და სინემატოგრაფების წინ. ღამის განათებასაც საზეიმო ელფერი ადევს. დღემარად სხვა და სხვა საცეკვავის დაკვრა იყო გამართული თითქმის ყოველ „ოტელში“. ლაღობას არ არის მოკლებული ჩვენი სერიოზული წარბ-შეკრული ბერლინი. (ფიგარო).

**ახალი მუქარის მოლოდინი.**

ამ სათაურით დაიბეჭდა საგულისხმიერო წერილი „კოლოკოლში“. წერილი ეხება შვეციის მდგომარეობას: „მიუხედავად ლაჟვარდი ცისა, წყნარ და თბილ ამინდისა, ბალტიის ზღვის სარკესავით კრიალა პირისა და ნაპირებთან ცელქად მოლამუნე ტალღებისა, ჰაერში მაინც რაღაც მძიმე, სულის შემხუთველი სუნი ტრიალებს, სწორედ ისეთი, რასაც ადამიანი ქარიშხლის წინა ჰგრძნობს ხოლმე. ჩვენ გვგონია, რომ ქარიშხალიც არ დაიგვიანებს და სეტყვას მალე წამოუშენს. მისი გრგვინვის ხმა მოისმის ჩრდილო-დასავლეთიდან, თუმცა მიმართულება ჯერ გამოურკვეველია...

ის მითქმა-მოთქმა, რომ შვეციის მდგომარეობა მძაფრდება და ხშირად ზღვასავით მძვინვარებს, ჰბორგავს, ჩვენში უფრო დაბეჯითებით პასუხს გვთხოვენ ყოველთვის მზად ვიყოთ. ამბობენ, შვეციამ საბოლოოდ გადასწყვიტა თავისი ბედიც გამოსცადოს მსოფლიო ომის ჭექა-ქუხილის ველზე და შიშველი ხმალით დაიბრუნოს დიდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახელი, რათა დაიბრუნოს დაკარგული ძველი ადგილები და ძველადვე წაგებული ომი ეხლა სარგებლით დაიბრუნოს.

თუ გავიხსენებთ მეფის სიტყვას გეტენბორგის ბანკეტზე, როდესაც ახალი ჯავშნოსანი „შვეცია“ ჩაუშვეს, რაიც როგორღაც ჩვენს პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში არ აუნიშნიათ, მაშინ ნათლად მივხვდებით, რომ ომის დაწყებისას შვეციის ფიცი ვითომც სასტიკად დაიცავდა ნეიტრალიტეტს, მხოლოდ უბრალო დაპირება იყო, რა თქმა უნდა, მოსამზადებლად, აღსაჭურველად და აჰა, დღეს თამამად სწყვეტს, რომ დადგა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ჟამიო!..

მეფემა ბრძანა: „მსოფლიო ცეცხლი განაგრძობს ღუზღუზს. დღემდე ჩვენ ვცდილობდით ჩვენი ქვეყანა შეგვეკავებინა და ბრძოლაში არ ჩაგვერია. ვიმედოვნებ, ბოლომდე ჩვენ კონფლიქტის გარეშე დავრჩებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაიც დაზღვეულები არ ვართ, ვითომც ამ ომში ვერ ჩავერევით. ომის დასაწყისიდანვე მოვალედ ვხდი თავს სამშობლოს კეთილდღეობისათვის სასტიკად დამეცვა ნეიტრალიტეტი. მიუხედავად ამისა, წინ დაბრკოლებანი გვეზღუდება და თანდათანობით იზრდება იმისდა მიხედვით, რამდენადაც მოქიშპე მეომართა შორის ბრძოლა უმწვერვალეს წერტილამდე აღწევს. ნუ მივეცემით უზრუნველობას, გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ჩვენთვისაც შესაძლებელია დაჰკრას საათმა და მშვიდობიანობის ზეწარი ჩამოჰგლიჯოს ბრძოლის ღმერთმა. თუ ოდესმე დადგა ისეთი წუთი, რომ დავინახავ ჩემი სამშობლო მხარე ჰსაჭიროებს თვის თავისუფლების დასაცველად თვის საუკეთესო შვილთა სისხლს, მაშინ, მწამს, შვეციის ხალხი ერთ კაცსავით აღსდგება და თავის მეფესთან ერთად ბრძოლის ველზე გაიჭრება, რომ ბრძოლა ბედნიერების მოპოვებით დამთავრდეს. დიდი და უმძიმესი პასუხისმგებლობა მაწევს კისერზე, მაგრამ არა მარტო მე, არამედ თვითეული თქვენგანი ინაწილებს ამ პასუხისმგებლობას. ვიმედოვნებ, რომ თქვენში არავინ არ იქნება ისეთი, ვინც სიტყვით ანუ საქმით შრომას დაგვიმძიმებს და მით გაგვიმთელებს ამ მძიმე მომენტს...“

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# ახალი ამბავი

✦ [illegible] თიბათვეს, საღამოს 8 [illegible] ბანკის სადგომში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველი ხაზინადრის, მუზეუმ-წიგნთსაცავის გამგის და საბჭოს წევრის, განსვენებულის ალ. ივ. სარაჯიშვილის, ხსოვნის აღსანიშნავად, გარდაცვალების დღიდან ერთი წლის შესრულების გამო, მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა** ჩვეულებრივი საზოგადო კრება. პირველად კრებას მოხსენდება განსვენებულის ალ. ივ. სარაჯიშვილის ბიოგრაფია და ღვაწლი. შემდეგ ს. გორგაძე წაიკითხავს რეფერატს: „ქართული ანბანი“ (რა დროს და საიდგან შემოულიათ იგი).

კრებას გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

✦ **კონდუქტორ ლომონოვმა** (№ 46) იპოვნა საფულე ოქროს ნივთებით. დამკარგველმა მოაკითხოს ტრამვაის კანტორაში.

✦ **ქართულ სახელმძღვანელოების შედგენა.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებმა გადასწყვიტეს ქართულს სკოლებში სახელმძღვანელო წიგნები შეადგინონ. მუშაობას კაი ხანია შეუდგნენ. თბილისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებსაც სთხოვეს შრომის განაწილება. რამდენიმე სახელმძღვანელო უკვე შეუდგენიათ. თბილისელ მასწავლებლებს იწვევენ ქუთაისში ნამუშევრის განსახილველად.

✦ **ნიაღვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.** ხვალ, 1 ივნისს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, ქალაქის აღმასრულებელ კომისიას, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, სხდომა ექნება 4.000 მანეთის გასანაწილებლად ნიაღვრებისა და სეტყვისაგან დაზარალებულ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შორის.

✦ **ბრძოლა მცენარეულობის მავნებელ მწერთა წინააღმდეგ,** 29 მაისს კავკა[illegible] სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაშ[illegible] ვ. ი. რცხილაძის თავმჯდომარეობი[illegible] მოხდა კერძო თათბირი ხეხილისა [illegible] ბოსტნეულობის მაზარალებელქია-მწერ[illegible] და სოკოსთან ბრძოლის შესახებ. კრე[illegible] სასურველად სცნო ასეთი ბრძოლა [illegible] მეცნიერული და პრაქტიკული. ეს [illegible] სანამ ამიერ-კავკასიაში საერთო ლა[illegible] რატორია გაიხსნება, რაიცა გადაწ[illegible] ტილი აქვს სამეურნეო საზოგადოებ[illegible] უნდა დაევალოს ბოტანიკურ ბაღის ს[illegible] ციალისტებს, საცა უკვე არსებობს ფიტოპატოლოგიური და ენთომოლოგიური (მცენარეულობათა ცხოველთა შესახებ გამოკვლევა) კაბინეთები.

✦ **ხელსაქმობა ლაზარეთებში.** ქალაქების კავშირთა კომიტეტმა სასარგებლოდ სცნა ლაზარეთებში მყოფნი ჯა[illegible] რის კაცნი ხელსაქმობას ეწეოდნენ. [illegible] შირის თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩელნოკ[illegible] მა მიჰმართა თბილისის ქალაქის მოუ[illegible] ა. ი. ხატისოვს იხმაროს ღონის ძიება[illegible] საქმის მოსაწესრიგებლად.

✦ **7 ივნისის სეირნობის შესახ[illegible]** ახალი კლუბის მამასახლისთა საბ[illegible] კლუბის ბაღს არ უთმობს ქ. შ. წ.-კ[illegible] გამავრცელებელ საზოგადოებას 7 ივნისის სეირნობის გასამართად. მამასახლისთა საბჭო იმით ასაბუთებს თავის საქ[illegible] ციელს, რომ იმ დროისთვის ბაღი მზად არ იქნებაო, მაგრამ მზად რომ იყვე[illegible] მაინც არ შევიძლიან დათმობა, რადგა[illegible] სეირნობაზე ბაღი ოხრდება და იმი[illegible] წესრიგში მოყვანა დიდ ხარჯსა დ[illegible] დროს თხოულობსო.

✦ **აკაკი ფაღავას ლექცია.** 4 ივნის[illegible] „ახალი კლუბის“ საზაფხულო შენობაშ[illegible] განზრახულია აკაკი ფაღავას ლექცია—„საქართველოს კულტურა მეთორმეტ[illegible] საუკუნეში“.

✦ **ბაქოს ქართველ საზოგადოებ[illegible]** წარმომადგენლებმა—მეთოდე კაკაბა[illegible] და ილია გოგიამ—ვერცხლის გვირგვინ[illegible] შეამკეს თავ. კ. ა. მუხრან-ბატო[illegible] კუბო.

✦ **ქალაქის გამგეობის მოსამსა[illegible] რეებმა** შუამდგომლობა აღძრეს, ც[illegible] რების გაძვირების გამო, ჯამაგირი [illegible] უმატონ მათ. ამ საკითხის განსახი[illegible] ლად ქალაქის საბჭომ განსაკუთრებ[illegible] კომისია აირჩია, ხმოსნის სულხან[illegible] თავმჯდომარეობით. კომისიამ დაად[illegible] იმ მოსამსახურეთ, რომელნიც თვიუ[illegible] 35 მანეთამდე იღებს ჯამაგირს, მი[illegible] ტოს ჯამაგირის 15%, ვინც 50 მან[illegible] მდე იღებს—10% და 75 მანეთამდე ვ[illegible] იღებს—5%.

✦ **ახალი კლუბი** 6 ივნისს აპირ[illegible] გადასვლას თავისს საზაფხულო ბაღ[illegible] როტონდოების შესაკეთებლად და სა[illegible] გადოდ ბაღის გასამშვენიერებლად გ[illegible] ხარებული მუშაობაა.



ალექსანდრე სარაჯიშვილი

## ნეტამც ვარდი

ნეტამც ვარდი არ სჭკნებოდეს
ნარნარი და ფერად თეთრი!
ნეტამც გრძნობას არ ინდობდეს
სატრფოს სიტყვა, სიტყვა მკვეთრი!—

არ შესწყვეტდა ჩემი ჩანგი
ტკბილად მღერას, ტკბილად ჟღერას,
ალაფრენდა სიმთა ჰანგი
უიმედო გულის ძგერას!

**სანდრო შანშიაშვილი.**



ქურთების ტიპები.

## ა. ი. სარაჯიშვილის ხსოვნას.

ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წელიწადი შესრულდა. დღევანდელ შავბნელ და მსოფლიო უბედურებით აღსავსე დროსაც კი არ ძალუძს ოდნავათ მაინც გაანელოს ჩვენში გრძნობა ღრმა სიყვარულისა და თაყვანისცემისა იმ კეთილშობილ ადამიანის ხსოვნის წინაშე, რომლის სულიერი სილამაზე ჰხიბლავდა ადამიანს, წარუხოცელ სურათად იბეჭდებოდა მის გონებასა და გულში.

დრო ვერც შესძლებს ამოშალოს ერის მეხსიერებისაგან იმ ადამიანის სახელი, რომელმაც ეროვნულ შემეცნების საძირკველში ერთი უმთავრესი ქვა ჩასდო.

ერს ეროვნული სიცოცხლის მაჯა მაშინ უცემს, როცა მას სიამაყე და სიყვარული თავის წარსულისა დაუშრეტელ ცხოვრების წყაროდ აქვს გადაქცეული. ეროვნული აღორძინების დასაბამიდან მისი პირველი ნაბიჯი ეროვნულ შემოქმედების სათაყვანებელ ტაძრის [illegible] დის სურვილი და ცდა არის. დიდი და სამოციქულო არის ეს საქმე. მოწიწებით და სასოებით შესდგა ფეხი ალექსანდრემ ერის გენიის და სულიერ შემოქმედების განხორციელების—შოთას მიერ აგებულ ტაძარში; დაასუფთავა, მოაშორა შვიდის საუკუნის განმავლობაში შეტანილი უწმინდურობა, მოგვცა ტაძარი განწმენდილი და მით ტაძართან აღიგო მან ძეგლი უხრწნელი და სამარადისო. სამლოცველოდ წმიდა ტაძარს მიმავალი ქართველი არა ერთხელ ხარბად დაეწაფება წმინდა აშკარა წყალსავით მოკამკამე, საუცხოვო კლასიკურ ენით დაწერილს „ვეფხვის ტყაოსნის ყალბ ადგილებს“.

მაგრამ ერს სულიერი სამლოცველოს გარდა მატერიალური კულტის, ისტორიულ ღვთაებათა ხატების საყუდარიც ესაჭიროება. ამიტომ ალექსანდრემ სხვებთან ერთად ჩაუდგა საძირკველი და მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ასეთი ტაძარი—საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი.

ვისაც სწამს ჩვენი მომავალი, რომელსაც ალექსანდრემ მთელი სიცოცხლე შეალია, მას ისიც უნდა სწამდეს, რომ ერის ისტორიულ მსვლელობაში ეს ორი [illegible] იქნება. მათკენ აღპყრობილი ერის სასოება მათ მოგვს—ალექსანდრეს მოციქულისებურ სახესაც არასოდეს არ დაივიწყებს და სამარადისოთ მადლობელი იქნება მისი.

ჩვენთვის, „საქართველოს“ თანამშრომელთათვის ხსოვნა ალექსანდრესი, როგორც „კლდის“ თანამშრომელისა და „ეროვნულ დემოკრატიის“ დამაარსებელთაგანისა, უშრეტი წყარო იქნება იმედის და სიმხნევისა. მისი კეთილშობილი ხმა მუდმივ იქით მიგვიხმობს, სადაც არს პატიოსნება, სიყვარული და წმინდა მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

**შ. ქ—ძე.**

## რაბინდრანათ თაგორიდან

* * *

უდაბნო მდინარის დახრილ ნაპირს, მაღალ ბალახთა შორის, მე ვკითხე მას: ქალწულო, საით მიხვალ შენ, როს მოსასხმით აბნელებ ლამპარსა? სახლი ჩემი ბნელია ფრიად და განმარტოებული,—მომეც მე შენი სანთური!

წამით ამართა მან თვისი შავი თვალები და ბურუსში მომაცქერდა. მე მოველ მდინარესთან,—რქვა მან,—რომ ლამპარი ჩემი მის დენას თან გავაყოლო, როცა დღის სინათლე დაინთქება დასავალს.

მე ვიდექ მარტო მაღალ ბალახთა შორის და თვალს ვადევნებდი ქალწულის ლამპარის მკრთალ ალსა, რომელიც უმიზნოდ მისცურავდა მდინარეში.

მოახლოებული ღამის დუმილში მე ვკითხე მას: ქალწულო, თქვენსა ყველა ცეცხლია ანთებული,—საით მიხვალ შენ ლამპარ ით შენით? სახლი ჩემი ბნელია მთლად და განმარტოებული,—მომეც მე შენი სანთური!

მან მომმართა თვისი შავი თვალებით და ერთი წამით შეჩერდა იგი რყევაში. მე მოველ,—რქვა მან ბოლოს,—რომ ცას შევწირო ჩემი ლამპარი.

მე ვიდექ მარტო და თვალს ვადევნებდი ქალწულის ლამპარის პაწა ცეცხლს, რომელიც უმიზნოდ იწვოდა უდაბნოში.

შუა ღამის უმთვარო სიბნელეში მე ვკითხე მას: ქალწულო, გულთან რატომ გაქვს დაჭერილი ლამპარი შენი? სახლი ჩემი ბნელია საშინლად და განმარტოებული,—მომეც მე შენი სანთური!

იგი შეჩერდა ერთი წამით და დაფიქრდა,—და ჩემს სახეს ბნელეთში უცქერდა. მე მოვიტანე ლამპარი ჩემი,—რქვა მან,—რომ შევუერთო იგი ჟინჟღილთა კარნავალს.

მე ვიდექ მარტო და თვალს ვადევნებდი ქალწულის პაწა სანთურს, რომელიც უმიზნოდ იკარგებოდა ცეცხლთა შორის.

* * *

მე არა მითხოვნია რა შენთვის,—იტყოდა ქალწული; არ გამიმხელია შენთვის სახელი ჩემი. როს მეთხოვებოდი შენ, მე ვიდექ მდუმარე. მე ვიყავ მარტო ჭასთან, საცა ხე ისვრის ელამ ჩრდილს. ქალები წავიდენ შინ და თან წაიღეს წყალით ავსილნი თიხის დოქნი. ისინი მეძახოდენ მე: წამო ჩვენთან, მალე უკვე შუადღე იქნება! ხოლო მე არ ვიჩქაროდი: ვთვლემდი გაურკვეველ და ვიძირებოდი ბუნდოვან ფიქრში.

მე არ მსმენია შენი ნაბიჯი, როცა შენ მოხველ. თვალნი შენნი მწუხარენი იყვნენ, როს მიცქეროდნენ. დაღლილობით ისმოდა შენი ხმა, როს შენ მითხარი ჩუმად: ჰოი, მე მწყურვალე მოგზაური ვარ. მე შევფრთქიალდი ჩემს ოცნებებში და ჩემი დოქიდან წყალი დაგისხი პეშვებით შეწყობილ ხელებში. ზევით ფოთოლნი შრიალებდნენ, მუქ ბურუსში გუგული გუგულობდა და გზის მოსახვევიდან მოისხურებოდა „ბაბლის“ ყვავილთა სურნელება.

მე ვიდექ სირცხვილით დამუნჯებული, როცა შენ მკითხე ჩემი სახელი. რა გიქენ მე შენ ისეთი, რომ

## საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

ამრიგათ, გავიგეთ რას წარმოადგენდა ეკლესია უფლებათა მხრივ, როდესაც იგი პირველათ შეებრძოლა რომის იმპერიას და თავისი მოქიშპე მძიმე საგონებელში ჩააგდო. არც თავის მიზნით და არც შინაგანის წყობილობით, გამგეობითა და სამართლით ეს ახალი საზოგადოება არც ერთს მანამდე ცნობილს პოლიტიკურს დაწესებულებას არა ჰგავდა. იგი ეხებოდა და ეხება უმთავრესად ერთს განსაზღვრულს მხარეს ადამიანისას, მის შინაგან ზნეობრივსა და სარწმუნოებრივს მსოფლიოს. მას საქმე აქვს ადამიანთან, როგორც მორალურ და სარწმუნოებრივ სუბიექტთან და არა როგორც პოლიტიკურ არსებასთან; მისი და სახელმწიფოს მიზანი სხვადა-სხვანაირია. რა თქმა უნდა, ამნაირათ გაგებული, ეკლესია (სხვანაირად მისი გაგება კი ეკლესიის დედა-აზრის პირდაპირი დამახინჯება იქმნებოდა) სახელმწიფოს მეტოქეობას ვერ გაუწევს, მის მიზანს თავის მიზნად ვერ გაიხდის და სახელმწიფოს მაგიერ თავის თავს ვერ წამოაყენებს. ეს ორი უდიდესი ორგანიზმი ერთმანეთს ვერ შენაცვლის: რადგან სახელმწიფო მიისწრაფვის იმისთანა მიზნისაკენ, რომელსაც ეკლესია ვერასოდეს ვერ იტვირთებს და, პირიქით, ეკლესია ახორციელებს იმნაირს დანიშნულებას, რომელიც სახელმწიფოს არ ეხერხება და არც ეთვისება.

ახლა ვიკითხოთ: აღნიშნულ პრინციპების მიხედვით, აქვს თუ არა საერო მთავრობას უფლება ეკლესიის საქმეებში გაერიოს, მისი კანონმდებელი გახდეს ან საეკლესიო გამგეობა იტვირთოს?

აი როგორს პასუხს იძლევა ამ ფრიად საგულისხმო საკითხის შესახებ თანამედროვე რუსის კანონისტი, პროფესორი ყაზანის სასულიერო აკადემიისა, ბ-ნი ბერდნიკოვი:

„სახელმწიფო მთავრობის დადგენილებას არ შეუძლიან საეკლესიო კანონის მნიშვნელობა იქონიოს. საერთო მთავრობას, როგორც გინდა იყოს იგი —ქრისტიანული, გინდ წარმართული, არ შეუძლიან, უფლება არ აქვს საეკლესიო კანონი გამოსცეს ანუ საეკლესიო რამ განაკარგულოს. ეკლესია კეისრის სამთავრო კი არ არის, ღმრთის სამთავროა... მას შემდეგ, რაც ქრისტეს ეკლესია დაარსდა, სახელმწიფოს მთლათ და სამუდამოთ მოესპო უფლება სარწმუნოებრივ საქმეთა განკარგულებისა... ამიტომ, თუ ვინიცობაა საერო მთავრობამ ქრისტიანს ისეთი რამ მოსთხოვა, რაც ღვთის ნებას ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში ქრისტიანი თავის თავს ზნეობრივათ მოვალედ ჩასთვლის, ღვთის ნება აასრულოს, ხოლო სახელმწიფო განაჩენის აღსრულებისაგან თავის თავს ზნეობრივათვე თავისუფლად აღიარებსო“.*)

ამ პრინციპს ადგა ქრისტიანობრივი ეკლესია პირველი სამი საუკუნის განმავლობაში. ესევე პრინციპი შეიწყნარა რომის იმპერატორმა კონსტანტინემ მედიოლანის ედიქტით 313 წელს და შემდეგ განმეორებით დააკანონა 325 წ. პირველ მსოფლიო კრებაზე, როდესაც განაცხადა: „მე—ადამიანს—არ ძალმიძს ისეთი საქმეები ვიტვირთო და მოვისმინო, სადაც მომჩივანი და მოპასუხე მღვდლები არიანო“.*) ამავე პრინციპს მტკიცეთ იცავდნენ საერო მთავრობის წინააღმდეგ შემდეგი მსოფლიო კრებანიც, რომელთაგან მაგალითად, მესამე მსოფლიო კრება (ეფესისა, 413) წ. პირდაპირ აფრთხილებს საეკლესიო იერარქიას: „არ შემოგვეპაროს, ვითომდა კეთილმსახურების სახით, **თავხედობა საერო მთავრობისა**, რათა არა დავკარგოთ **თავისუფლება იგი**, რომელიცა მოგვანიჭა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, განმანთავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან“;**) ხოლო მეოთხე მსოფლიო კრებამ (451 წ.) ერთხმათ უარჰყო და სასტიკათ აკრძალა ყოველგვარი ჩარევა საერო მთავრობისა თუნდ თვით ეპისკოპოსების მოწვევითაც ხდებოდეს საეკლესიო მართვა გამგეობის საქმეებში.***)

ასეთია ეკლესიის თავისუფლება, რამდენათაც საკითხი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას შეეხება. მაგრამ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს, სახელდობრ: ერთი ეკლესიის ურთიერთობა სხვა ეკლესიებთან.

რომ, სარწმუნოებრივ თავისუფლების თვალსაზრისით, ყოველი ხალხის ეკლესია ამ მხრივაც სრულიად თავისუფალი (სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებელი) უნდა იყოს, ეს თავისთავად ცხადია, რადგან ზნეობრივი სრულყოფა ადამიანისა რაც ეკლესიის დედა აზრს შეადგენს, შეუძლებელია იქ, სადაც ერთი ერი მეორე ერის ბატონობის ქვეშ იმყოფება, სადაც სრული თავისუფლება არ არის. მაგრამ აქ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ უცქერის ამ საკითხს თვით „წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“.

მაგალითისათვის თვით იმავე ეკლესიის პრაქტიკასა და მსოფლიო კრებათა კანონებს მივმართოთ, რადგან მათი მაგალითი და განაჩენი ყველა დროისა და ყველა ეკლესიათათვის სავალდებულოა.

აი სამი ტიპიური და ჩვენი მიზნისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მაგალითი:

1. როცა რომის სახელმწიფოში ქრისტიანობა ნებადართულ სარწმუნოებად გამოცხადდა (313 წ.), მაშინ მთელს იმპერიაში რამოდენიმე, ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი, ადგილობრივი ეკლესია არსებობდა. ზოგი მათგანი შემდეგში „საპატრიარქოებად“ იქმნა გამოცხადებული (რომისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა), ზოგიც „სამიტროპოლიტეებს“ წარმოადგენდა (თრაკიისა, ასიისა, პონტისა და კიპროსისა; პირველი მდებარეობდა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, მეორე და მესამე—მცირე აზიაში და მეოთხე—კიპროსის კუნძულზე, ხმელთა შუა ზღვაში). მეორე მსოფლიო კრების (381 წ.) შემდეგ, ამ კრების დადგენილებით, თრაკიის სამიტროპოლიტოში იჟუო ამაღლება სატახტო ქალაქის კონსტანტინოპოლის კათედრამ, რომლის მღვდელმთავარი ღირსებით გაუთანასწორდა დანარჩენ საპატრიარქოთა იერარქებს, ხოლო მეოთხე მსოფლიო კრების (451 წ.) შემდეგ ამ კრების გადაწყვეტილებით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაექვემდებარა მის მახლობლად მდებარე მცირე აზიის სამიტროპოლიტოებიც, და ამგვარათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მოექცნენ წინანდელი თავისუფალი სამიტროპოლიტოები: თრაკიისა, პონტისა და ასიისა. ეს მოხდა თვით ამ სამიტროპოლიტოთა წარმომადგენლების თანხმობით, რომელნიც აღნიშულ კრებას დაესწრნენ და მის განაჩენს ხელი მოაწერეს.*) ამავე (მეოთხე კრებამ პატრიარქობის ღირსება უბოძა იერუსალიმის მღვდელმთავარსაც და მას დაუქვემდებარა პალესტინის ეკლესიები.

ამგვარათ, მეხუთე საუკუნეში მსოფლიო კრებათა სანქციის ძალით, რომისა და ბიზანტიის იმპერიაში ხუთი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი საპატრიარქო არსებობდა: რომისა, კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა. როგორც მსოფლიო ისტორიიდან მოგეხსენებათ, მეხუთე საუკუნეში (476 წ.) რომის იმპერია დაემხო; დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთის ნაწილი ანუ ბიზანტიის იმპერია, რომელმაც კიდევ ათას წლამდე იარსება (1453 წ.). და მიუხედავად იმისა, რომ ეს იმპერია პოლიტიკურად ერთსა და განუყოფელს სახელმწიფოს წარმოადგენდა, მასში ოთხი საპატრიარქო, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, ეკლესია არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა. ამავე მდგომარეობაში აღმოსავლეთის ეკლესიათა დამოუკიდებლობა, როცა ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე ოსმალეთის ძლიერი სახელმწიფო აღიმართა. ხელშეუხებელია მათი დამოუკიდებლობა დღესაც ოსმალეთის იმპერიაში.

2. როგორც წინა მაგალითში ვნახეთ, კონსტანტინოპოლის კათედრის ამაღლება და თრაკია-პონტ-ასიის სამიტროპოლიტოთა დამოუკიდებლობის გაუქმება მოხდა **მსოფლიო კრების განაჩენით და თვით ამ სამიტროპოლიტოების ნებაყოფლობით.**—ხოლო როცა მსოფლიო კრებათა ეპოქა გათავდა, ახალ დამოუკიდებელ ეკლესიათა გამოცხადების უფლება იმ საპატრიარქოების ხელში გადავიდა, რომელსაც მანამდე ეს ეკლესია ექვემდებარებოდა. აქ საკმაოა მოვიგონოთ რუსეთის ეკლესიის მაგალითი, რომელსაც საკუთარი პატრიარქი და დამოუკიდებლობა კონსტანტინოპოლის ეკლესიამ მისცა, რადგან დაარსებიდანვე რუსეთის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკუთვნოდა. როგორც შემდეგ ვნახავთ, საქართველოს ეკლესიამაც ამავე გზით მიიღო სრული დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან, რომელსაც დაარსების დღიდგან ექვემდებარებოდა.

3. ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, რო-

---

* იხ. „საქართველო“ № 6.

*) И. Бердниковъ—Государственное положенiе церкви въ Римско-византiйской Имперiи. ч. I. Казань 1881 г., стр. 493—494.

*) Ѳ. Кургановъ—Отношенiя между Церковью и гражданскою властью въ Византiйской имперiи. Казань 1880 г., стр. 81.

**) მერვე კანონი მესამე მსოფლიო კრებისა. იხ. Правила Свв. вселенскихъ соборовъ съ толкованiя ми. Москва. 1877 г. Часть I, стр. 138.

***) იხ. მე-12 კანონი IV მსოფლიო კრებისა. იქვე, გვ. 194.—შეად. „Дѣянiя вселенскихъ соборовъ“. Казань 1865 г. т. IV, стр. 83—84.

*) იხ. მეორე მსოფლიო კრების კანონი მესამე, და მეოთხე კრების კანონი მე-28-ე. (ა. ცაგარელი—Статьи и замѣтки по грузинск. церковн. вопросу Соб. 1912 г. стр. 45). შეადარ. თვით აქტები მე-IV-ე მსოფლიო კრებისა, სადაც მოყვანილია სიები იმ პირთა, რომელთაც კრების დადგენილებებს ხელი მოაწერეს (იხ. Дѣянiя Вселенскхсъ Соборовъ. Изд. Казанск. Духов. Академiи. тт. III и IV).



მავთულებზე მოკლული.



გერმანელი მეზვერავი თავის მეზვერავ მეძებრით.



ვიქტორ ემანუელ III, იტალიის მეფე.



ანტონიო სალანდრა.
იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ინახო შენ ხსოვნა ჩემის სახელისა? ხოლო ხსენება მის, რომ მე შევძელ შენთვის წყალის მოცემა შენი წყურვილის დასანელებლად, არაოდეს მოსცილდება ჩემს გულს და სიტკბოში გაახვევს უკანასკნელს. დილა გადის, ნელდებიან ფრინველთა ხმანი, ზევით შრიალობენ ფოთოლნი,—მე კი ვზივავარ და ვფიქრობ... ვფიქრობ...

* * *

მე თავს ვიქებდი ხალხთა წინაშე, რომ გიცნობ შენ, უფალო. ისინი მზერენ შენს სახეს ყოველს ჩემს ნაქნარში. ისინი მოდიან და მეკითხებიან მე: ვინ არის იგი? მე არ ვიცი, რა ვუთხრა მათ. და ვამბობ: ჭეშმარიტად, არ ძალმიძს თქმა. ისინი მძრახვენ მე და მიდიან დაცინვითა. შენ კი აქვე ზიხარ უფალო და იღიმები.

სამარადო სიმღერებში გარდავავლენ მე ჩემს მოთხრობას შენზე, უფალო. წყაროს თვალივით მოახეთქს საიდუმლო ჩემი გულიდან. ხალხნი მოდიან და მეკითხებიან მე: გვ უწყე ჩვენ ყოველი, რისი თქმაც გსუროდა. მე არ ვიცი რა ვუთხრა მათ. და ვამბობ: ჰაი, ჰაი, რომ ვინმემ იცოდეს, თუ რას მღერიან ჩემი სიმღერანი?! ხალხნი იცინიან და მიდიან დაცინვითა. შენ კი აქვე ზიხარ, უფალო, და იღიმები...

გრ. რობაქიძე.

## გინახავს?..

გინახავ დილა, ისე სათუთი
ვით ღიმ მომდგარი ქალწულის ბაგე,
როს მდუმარების თვით ერთი წუთი
არს მარადიულ ფიქრთ მოქადაგე?—

გინახავს ღელვა მაცდურ ტევრისა,
გაგიგონია ფოთოლთ ზღაპარი,—
როს განცდის ცეცხლით დაადნობს გრძნობას
გულში ოცნებად შემონაპარი?..

გინახავს წყარო წარბ-შეკრულ კლდეზე
ვერცხლის რითმებით ჩამომტვრეული,—
სტრიქონებად რომ იკინძება და
ლექსით ივსება გულის რვეული?

გინახავს მზერა დახრილ წამწამ ქვეშ
ერთგვარის ალით ანთებულ თვალთა,
ერთ-ურთს რომ უხმოდ უზიარებენ
სულის უფალის შემონათვალთა?..

. . . . . . .

და თუ გინახავს სხვა სილამაზეც,
სადაც ტრიალებს უფლისა ხელი,—
იქ ყველგან სუფევს, ჩემო ძვირფასო,
ჩემი ფიქრი და შენი სახელი,
ჩემი ფიქრი და შენი სახელი!..

ს. ფაშალიშვილი.

მე მეოთხე საუკუნის დამდეგს (313 წ.) სხვა დამოუკიდებელ „სამიტროპოლიტოთა“ შორის კიპროსის ეკლესიაც ითვლებოდა (კიპროსის კუნძულზე, ხმელთა შუა ზღვაზე). ეს ეკლესია დღესაც დამოუკიდებელია. ფრიად საგულისხმო და ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია ამ პატარა ეკლესიის ბედი.

მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში, სახელდობრ მესამე მსოფლიო კრების წინ ამ ეკლესიას მეტოქე გამოუჩნდა, სახელდობრ ანტიოქიის საპატრიარქო ეკლესია, რომელმაც მოიწადინა მისი დამორჩილება. კიპროსის ეპისკოპოსებმა საჩივრით მესამე მსოფლიო კრებას (431 წ.) მიმართეს, რომელმაც დიდის სიფრთხილით გამოიკვლია ეს საქმე და კიპროსის ეკლესია სცნო დამოუკიდებელ ეკლესიად; თანაც ფრიად საგულისხმო საზოგადო განაჩენი, რომლის შინაარსი შემდეგია:

ყოველმა ეკლესიამ უნდა წმინდათ და შეუზღუდველად დაიცვას ის უფლებანი, რომელნიც მას თავიდანვე ჰკუთნებია, თანახმად ძველიდგანვე დამყარებულის ჩვეულებისაო. „ესევე წესი უნდა სრულდებოდესო,—ამბობს იგივე განაჩენი,— სხვა ოლქებში და ეპარქიებშიაც, რათა არც ერთ ღვთივსაყვარელს ეპისკოპოსს არ შეეძლოს განავრცოს თვისი უფლება სხვა ეპარქიაზე, რომელიც უწინ და თავიდანვე არც მის წინამოადგილეთა და არც თვით მის ხელში არ ყოფილაო; ხოლო თუ ვისმე ხელი გაუწვდია და რომელიმე ეპარქია მიუთვისებია, უკანვე დააბრუნოს, რათა არ შემოგვეპაროს, კეთილმსახურების სახით თავხედობა საერო მთავრობისა და რათა არა დავკარგოთ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად თავისუფლება იგი, რომელიცა მოგვანიჭა სისხლითა თვისითა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან“*). კიპროსის ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთხელ კიდევ იქმნა აღიარებული და დამტკიცებული მეექვსე მსოფლიო კრების მიერ მე-39-ე კანონით, თანახმად მესამე კრების მერვე კანონისა.

ამგვარათ, მსოფლიო ეკლესიის პრაქტიკა ასეთია: ა) უძველესი დამოუკიდებელი ეკლესიები დამოუკიდებლადვე რჩებიან, თუნდაც სახელმწიფო ერთი იყოს; ბ) თუ რომელიმე ახალი ეკლესია დამოუკიდებელ ეკლესიად გამოცხადდება, ეს ხდება ან მსოფლიო კრების დადგენილებით ან იმ მთავარ-ეკლესიის გადაწყვეტილებით, რომელსაც ახალი ეკლესია მანამდე ექვემდებარებოდა; გ) ამა თუ იმ დამოუკიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება და სხვა ეკლესიაზე (საპატრიარქოზე) მიწერა შეიძლება მხოლოდ მსოფლიო კრების გადაწყვეტილებით და თვით ამ ეკლესიის ნებაყოფლობით და არა მისი სურვილის წინააღმდეგ; დ) ხოლო, როცა ამა თუ იმ დამოუკიდებელს ეკლესიას არა სურს, სხვა ეკლესიას დაექვემდებაროს, მაშინ თვით მსოფლიო კრებაც ვერას გააწყობს მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ასე ესმოდათ და ასე იცავდნენ მსოფლიო კრებანი ეკლესიის თავისუფლებას, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულია იმ შინაგან, ზნეობრივს თავისუფლებასთან, „რომელიცა მოგვანიჭა ჩვენ სისხლითა თვისით უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან“.*)

ახლა ვნახოთ, როგორ ხორციელდებოდა ეს თავისუფლება საქართველოს ეკლესიაში მისი დაარსებიდან რუსეთთან შეერთებამდე; და პირველად განვიხილოთ საკითხი შესახებ ეკლესიის დამოუკიდებლობისა ძველ საქართველოში.

(შემდეგი იქნება)

ერისგანი.

*) მერვე კანონი მესამე მსოფლიო კრებისა. იხ. Правила свв. вселенск. соборъ съ такованіями, т. I, стр. 138.

*) საზოგადოთ სინიდისისა და ეკლესიის თავისუფლების შესახებ იხ. Маасенъ —Девять главъ о свободѣ церкви и свободѣ совѣсти. Переводъ съ нѣмецкаго. Ярославь 1882 г.

## მოგვასწრეს!

ომის მიერ შექმნილმა პირობებმა აიძულეს სახელმწიფო განსაკუთრებული ზომები მიეღო კალაპოტიდან ამოსულ ცხოვრების და ეკონომიურ კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

ამ ზომების განსახორციელებლად მთავრობამ საზოგადოებრივ ინიციატივას და საზოგადოებრივ თვითმოქმედებას ფართო გზა მისცა და ამ განსაცდელის დროს. დაუჯერებელი იყო რომ ვინმე ბოროტად ისარგებლებდა ამ ნდობით. მაგრამ „ჭალარა თბილისის თვითმართველობის აღმასრულებელ ორგანოს ყველაფერი, დროც და უფლებანიც, თავისებურად ესმის და იშვიათის ოსტატობით სარგებლობს შავ-ბნელი დროთი და ლამობს განახორციელოს თვისი გულის ნადები, საიდუმლო პოლიტიკურ-ეკონომიური იდეალი. ის განსაკუთრებული ზომები, რომელნიც მოვაჭრეთა გაუმაძღარ მადის ასალაგმად შემოიღეს, ჩვეულებრივად ღარიბ-ღატაკ ქართველ ვაჭარს დაადეს ულლად. ნახშირი, შეშა და საერთოდ სოფლიდან გლეხის მიერ შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ ფასებზე თითქმის ნაკლებად იყიდება. თუ იგივე საქონელი სპეკულიანტების ხელში ვარდება და მომხმარებელს ერთი ორად და სამად ტყავი სძვრება, ან ფქვილისა და შაქრის ნარდად მოვაჭრე საქონელს მალავს ნელ-ნელა, ქურდულად ერთი ორად ჰყიდის, ქალაქი სდუმს და ყურს იყრუებს. წვრილ მოვაჭრეს სული ამოართვეს, მსხვილი სავაჭრო ამხანაგობანი და დიდი ვაჭრები კი ფასს დღითი დღე უმატებენ. გაზეთებში გამოცხადებული საათფიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობა—„Кавк. т-во“ ხომ მარტო ერთი მაგალითი არ იყო; მან ერთი სამად ასწია ფასი ისეთ საქონელზედაც კი, რომლის გაძვირება არას გზით არ შეიძლება და არ აიხსნება. ვის დაავიწყდება შემთხვევა, როდესაც „თავისიანებს“ ნიხრი ნათხოვნ ნორმაზე ზევით აუწიეს და ღარიბი მომხმარებელი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ ადმინისტრაცია იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო და მომხმარებელს გამოსარჩლებოდა. „ჭალარა“ თბილისის მატიანეში ყასბების საქმეს თავისი შესაფერი სახელი ექნება და ღირსეულად ახასიათებს თვითმართველობის პოლიტიკას.

კოოპერატიულ მოძრაობას ყველგან ხელს უწყობენ, ჩვენში კი ალმაცერად უცქერიან მას, თუ იგი „თავისიანების“ ინტერესებს ემუქრება, პირიქით ყველგან დევნილ სპეკულიაციას აქ მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მოპოვებული.

ქართველმა მეპურეებმა დაარსეს ამხანაგობა, ფქვილი პირდაპირ რუსეთიდან გამოიწერეს, სომეხ შუამავალს გზა აუქციეს. რომ ეს დიდი საქმე საძირკველშივე ჩაენგრიათ, ფასებს ხელად დაუწიეს და ტომარა ფქვილს ათ შაურამდე დააკლეს იმ დროს, როცა მთელი თბილისი ფქვილის უქონლობის შიშს განიცდიდა.

მერე ყურადღება მიაქცია ამას ქალაქის საბჭომ?

ქალაქის უფროსმა სავაჭრო აგენტმა შავერდოვმა ორასი ქართველი მეპურე ოციათასი მანეთით დააჯარიმა **მესამე ხარისხის პურის გამოუცხველობისათვის**, იმ პურისა, რომელიც არც ომის წინად გამომცხვარა და არც გამოცხვება, რადგან ასეთ პურს თონე არ იჭერს. მეპურეებმა ეს გარემოება აუხსნეს ქალაქს, და პასუხად აგენტისგან ასეთი სიტყვები მოისმინეს:

„[illegible]გეთ აქედან და წადით, თქვენს ადგილს მეფურნეები დაიჭერენო“.

აი სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი. მოსაწონია შავერდოვის პირდაპირი სიტყვა და გულწრფელობა.

ივერი.

## ქართული წერილები

### სად წავიდნენ, სად არიან?

ერთი სიყრმის მეგობარი შემხვდა. ათი წელიწადია ერთმანეთი აღარ გვინახავს. მიამა და გამეხარდა. წავყევი, ვებაასე, გამოვკითხე, გამომკითხა. ბოლოს გავშორდით: მე გულდათუთქული ვიყავი, ის კი—შერცხვენილი.

ერთ დროს მეტად გულწრფელი და გატაცებული ახალგაზდა ქართველი იყო სულითაც და ხორცითაც. შრომობდა, წელზე ფეხს იდგამდა და ფიქრობდა: მალე უმაღლეს სასწავლებელსაც გავათავებ, დავბრუნდები, ხალხში დავტრიალდები, სამშობლოსაც გამოვადგები და მოხუც დედ-მამასაც გავახარებ, დავასვენებო.

გაათავა, დაბრუნდა და დატრიალდა. ბევრი იტრიალა, იმდენი იტრიალა, რომ თავბრუ დაეხვა, მაგრამ ვერას გახდა: არც სამშობლოს გამოადგა, ვერც თავის თავს უშველა და დედ-მამაც ვერ დაასვენა. მერე გაჰქრა, გადაიკარგა.

ეხლა მიამბო რუსულ-ქართულად: ხომ იცი, ქიმიკოსი ვარ. ორი წელიწადი ვეძებე ადგილი, მაგრამ ვერას გავხდი. დავიტანჯე და დავიღალე. შემთხვევით გზაში რიგელი ვაჭარი შემხვდა. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. მესამე დღეს ბილეთი მიყიდა და წამიყვანა რიგაში, სადაც საღებავი ქარხანა ჰქონდა. ჯერ ათი თუმანი დამინიშნა, მერე თხუთმეტი, ეხლა კი ორმოცსაც ვაკეთებ.

— ცოლი შეირთე?

— ორი შვილიცა მყავს.

— რა თქმა უნდა, ჩვენებურს შეირთავდი.

— არა... იქაურია...

შერცხვა და თავის მართლება დაიწყო. გავჩუმდით.

— ალბად დაბრუნებას ფიქრობ, თორემ შვილები...

სცადა, მაგრამ არ ხერხდება. რომ დაბრუნდეს, რა ქნას, სად იმუშაოს, როგორ იცხოვროს, ან ცოლ-შვილს რა უყოს! ძალიან უნდა, გულითა და სულით მოიწევს, მაგრამ... არ ხერხდება.

ეხლა ვფიქრობ და ვთვლი, რამდენი მყავს მარტო მე, ერთ კაცს, ასეთი ნაცნობ-ამხანაგი, დაკარგული ჩემთვისაც და სამშობლოსთვისაც. ჯერ სკოლიდან დაწყებული, მერე რუსეთსა და უცხოეთში ხეტიალის დროს იქნება ათასიც შემხვდა ასეთი ქართველი, იქნება მეტიც. სიყრმე-ჭაბუკობაში ყველას ჰქონდა თვისი ოცნება, იმედი და რწმენა: ვისწავლი, გავათავებ, დავბრუნდები და... ვუშველით.

თითქმის ყველამ გაათავა, დაბრუნებულიც ბევრი მინახავს, მაგრამ... გარშემო ვიხედები, ვთვლი, ვიგონებ და ვეძებ. სად წავიდნენ? სად არიან? ასში ერთსა ვხედავ. სხვები? ერთი ლინგვისტი, რომელიც ვანის წარწერების წაკითხვას აპირებდა, სადღაც სამარყანდში რკინის გზაზე მსახურებს. მეორემ გეოლოგია შეისწავლა და კავკასიონის ქედის გადაბრუნებას ფიქრობდა, ეხლა კი გეოგრაფიის ასწავლის დონის ოლქის ერთ მიყრუებულ სოფელში. მახსოვს მესამეც. კინაღამ დაბერდა უმაღლეს სასწავლებელში. სამჯერ თუ ოთხჯერ გამოიცვალა საგანი. კანტი და სპენსერი გაიზეპირა, მთელი თვისი ჯანღონე, ქონება და ახალგაზდობა წიგნს შეალია, ეხლა კი, დაქანცული და გამოწურული, კასპიის ზღვის ნაპირზე ზის და თევზის ვაჭრის შესავალ-გასავალს ანგარიშობს. ყველანი დამშვიდდნენ, დარწმუნდნენ, იქაური ქალები შეირთეს და დაბინავდნენ.

სამი წლის წინად როსტოვის სადგურზე ექვსი ქართველი სტუდენტი შემხვდა, ექვსივე გიდრავლიკი. ექვსივემ ითხოვა ადგილი თავიანთ სამშობლოში, მაგრამ ყველანი თურქესტანში გაგზავნეს. ალბათ ექვსივეს ქართული სული ედგა, ქართული გული უძგერდა, ექვსივე ოცნებობდა და ნატრობდა: გავათავებ, დავბრუნდები და... ვუშველით.

რამდენს გაუცრუვდა ახალგაზდობის იმედი, რამდენს გაეფანტა ტკბილი სიზმარი, გაუქრა ოცნება ჭაბუკობისა და დაენგრა ტაძარი სიყრმისა! ვინ იცის, იქნება ორი ათასიც იყოს, იქნება ხუთიც. გაბნეულან უშველებელ სივრცეში და მაინც ფიქრობენ. გავათავებ, დავბრუნდები და... ვუშველით.

მშველელი არავინ მოსჩანს. ისევ ჩვენ ვშველით სხვასა, ვშველით და ველოდებით, თან ვფიქრობთ და ვოცნებობთ: გაათავებენ, დაბრუნდებიან და... გვიშველიან.

მ. ალ—ლი.

# გ ა ა ს ი

IV.

### ბედნიერი მომავალი.

სისხლით ვიცლებით... დიახ, ეს მართალია, მაგრამ რა ვუყოთ. განა ეს პირველია? მთელი ცხრამეტი საუკუნე და წინათაც სისხლსა ვღვრიდით. მერე რა მოვიგეთ?

ვერ იქნა, ვერ მოუპოვეთ სამშობლოს „დღენი ბედნიერნი“, ვერ მოვახერხეთ უზრუნველ გვეყო სამშობლო კერა, სამშობლო ქვეყანა გარეშე მტრის შემოსევა-თავდასხმისაგან. ვინ გინდა რომ ჩვენ არ გვიჩაჩქუნებდა თავში. განა მოიძებნება ისეთი ტარტაროზი ჯოჯოხეთისა, რომელსაც არ მოეწამლოს და არ მოეტრუსოს ჩვენი ველ-მინდორი თვისი საზიზღარი მაშხალით?

ოღონდაც რომ სავალალოა ასეთი ჩვენი ყოფა. ცხრამეტი საუკუნე ვეწვალეთ. სისხლი ვღვარეთ, კლდესა და ღრეს ვაწყდებოდით და წყნარ საყუდელს მაინც ვერ მივაღწიეთ. ვერ შევინახეთ ჩვენი ბინა. ეს მეტის მეტი სისასტიკეა ბედისა. სასტიკმა და ულმობელმა ბედმა არ მოგვცა საშუალება გვეპოვნა ისეთი „გეოგრაფიული სამზღვარი“, რომლის შუა ქართველ კაცს თვის ნებაზე ეჭედნა თვისი ბედი, გაეშალა მკლავი და ეწალმართნა როგორც თავისთვის, აგრეთვე მოყვასისთვის.

ძველებურად დღესაც ვღვრით სისხლს. ნუ თუ დღევანდელი „სისხლის ნაკადული“, სულისკვეთებაც უნაყოფოდ ჩაივლის და კვლავ ყვავ-ყორანი დაგვჩხავლებს?

არა გვგონია.

ჩვენთან ერთად სისხლით იცლება ინგლისი და საფრანგეთი. თუ ჩვენ, ქართველებმა, ყადრი არ ვიცით ჩვენის სისხლისა და ზოგჯერ უაზროდ ვღვრიდით, ამას არ ინებებს არც ინგლისელი და არც ფრანგი. ამ ბატონებმა კარგად იციან, რა ძვირფასია ერის მიერ დანთხეული სისხლი და ეცდებიან, რომ იგი უნაყოფოდ არ დაიღვაროს. იგინი უეჭველად ყოველ ღონეს იღონებენ და ისე მოაწყობენ ევროპას და აქ მცხოვრებ ერთა ბედს, რომ სადავიდარაბო აღარა ჰქონდეთ რა. თუ ვინიცობაა გაჩნდება ვინმე ჩხუბის ამშლელი, საერთო ძალით დასთუთქვნიან აბეზარსა და მოჩხუბარს. ამისი თავდებია მკაცრი და მტკიცე ხასიათი ინგლისისა.

რას ჰპირდებიან ჩვენი მოკავშირენი ევროპას და აზიას?

შარშან საფრანგეთის გლეხს კამბონს უთქვამს ლონდონში ერთს ბანკეტზე: „ჩვენ შევკავშირდით ევროპის თავისუფლების დასაცველად და ხელის გასაწოდმად იმ ერებისა, რომელთაც განიცადეს ძალმომრეობა“. ამ მშვენიერ დაპირებას, ესე იგი საუცხოვო გეგმას მომავლისას, გვერდში უნდა ამოუყენოთ ძლიერი სიტყვა ინგლისის პირველ მინისტრ ასკვიტისა: „ხმალს არ ჩავაგებთ ქარქაშში... ვიდრე პატარა ეროვნებათა უფლებანი არ დამყარდებიან მკვიდრს და შეურყეველ საფუძველზედ“.

ასკვიტის სიტყვა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ გახლავთ და არც სუბუქი, რომ ქარმა ადვილად მოიტაცოს. იგი მტკიცეა, როგორც ფოლადი.

მაგრამ ყველასთვის საყურადღებოა

ლლოიდ-ჯორჯის სიტყვები. „მრწამს და მჯერაო, უთქვამს ინგლისის სალაროს მინისტრად ნამყოფს, რომ მომავალი დაფუძნებული იქნება უწინარეს ყოვლისა ახალ გეოგრაფიულ სამზღვრებზე, რომელიც შეეფერება ეროვნებათა ფარგალ-სამზღვრებს და თვით ამ ეროვნებათა სურვილსაო. მრწამს და მჯერაო, რომ ზავისა და მშვიდობიანობის პირობის ხელმომწერელნი ვალად დაიდებენ არამცთუ პატივით მოეპყრან აღთქმულ ნეიტრალიტეტს, არამედ **დასაჯონ ის ერი**, ვინც მოისურვებს საერთაშორისო პირობისა და აღთქმის დარღვევასაო.

სჩანს, რომ ლაგამი უნდა ამოსდონ სიბრიყვეს, უხეშ ძალას, პატარა ერთა უფლების გადალახვას.. თუ დღევანდელმა ომმა მართლა ეს მოგვიტანა, დეე დაიღვაროს ჩვენი უმანკო სისხლიც ერის საკეთილდღეოდ, ერის ბედნიერ მომავლის დასამყარებლად.

ა.—ლი.

# ენვერ-ფაშა სარიყამიშთან

როგორც ვიცით, ოსმალებმა სარიყამიშთან დიდძალი ჯარი გაანადგურეს დეკემბრის ბრძოლაში. მართალია, გეგმა ამ სტრატეგიული მანევრისა დიდებული რამ იყო, მაგრამ რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო, იმდენად ძნელი და, მაშასადამე, მისი შეუსრულებლობა და მარცხი მეტად საგრძნობელი იქნებოდა. საინტერესოა იმ ბრძანებათა განხილვა, რომელიც ოსმალთა ჯარების მთავარსარდლის მოადგილეს ენვერ-ფაშას გაუცია მესამე არმიისათვის 8—22 დეკემბრამდე. ეს ბრძანებანი ცხადსა ჰყოფენ, რომ ენვერი ამ ბრძოლის დროს მართლა სარიყამიშთან იმყოფებოდა და თვითვე ხელმძღვანელობდა ბრძოლას. ენვერ-ფაშის ყოველ ბრძანებას აზის ნომერი, რიცხვი, ამავე ბრძოლის მიხედვით შეგვიძლიან გავიგოთ, თუ შტაბი რა დროს სად იმყოფებოდა. აი, მაგალითად, შტაბის მოძრაობის ნიმუში: 8 დეკემბერს ენვერი ყოფილა კეპრიკეში, ათში და თერთმეტში—იდში, 12-ში—ბარდუსში, აგერ, მას უკვე მიზნისთვის მიუღწევია „სარიყამიშის მიდამოებთან“. მაგრამ აქ, მარქსის სიტყვებისა არ იყოს, რუსებმა მახვილი ჩასცეს ენვერის „ordre du jour“-ს. მისი მოძრაობა გვაგონებს გალიაში მომწყვდეულ ციყვის ტრიალს. მართალია, ბრძანებას თან ახლავს თარიღი და ადგილი, მაგრამ ნიშანი სისწორით აღარ არის აღნიშნული: „მთის ძწვერვალები სარიყამიშის ჩრდილოეთით“, „ღია ღელე სარიყამიშიდან სამხრეთ-დასავლეთით“, „სარიყამიშის მიდამოები“ და ისე ქვეით. საბოლოოდ ენვერის გამოსათხოვარ ბრძანებას ვხედავთ 27 დეკემბერს ზივნაში, პირი სტამბოლისაკენ უბრუნებია და უკან ლაშქარსა სტოვებს მხოლოდ ერთ „ღვთის ანაბარად“.

ყველა ბრძანებანი, პირველისა და უკანასკნელის გარდა, ყველა მცირე სიტყვოვანია, მშრალი და პირდაპირ მოსაქმის კალმით არის ნაწერი. ტეხნიკური განკარგულებანი ენვერის მიერ ფრიად საგულისხმიეროა, სჩანს, რაოდენად აწონილ-დაწონილი ჰქონია განზრახული საქმე, იმედები, რაიც მთელი კატასტროფით დამთავრდა.

აი თვით ბრძანების ნიმუშები: „**მესამე არმიის.** რამდენიმე დღის განმავლობაში პირადად დავათვალიერე მესამე არმიის ყოველი ნაწილი. უნდა გამოვტყდე, მდგომარეობა მისი ზოგიერთგან მეტად მძიმეა, მიუხედავად ამისა, ღრმად მრწამს, რომ დაბრკოლებანი ვერ იქონიებენ გავლენას ჩვენს არმიის მამაცობასა და ენერგიაზე. ჩვენი წინსვლა დამოკიდებულია არა ერთ გარეგნულ პირობებზე, არამედ მამაცობაზე და თვითეულ ჯარის კაცის სულიერ გმირობაზე. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მესამე არმია წინდაწინვე გამარჯვებულია და ამარცხებს რუსის ჯარებს, ყველანი ერთსულოვნად გაცეცხლებულნი არიან მტრის გასანადგურებლად, ხოლო ახლად მოსული ჯარები თამამად გვერდში ამოუდგებიან მამაცს დღევანდელ თავიანთ მებრძოლ ძმებს. კიდევ მცირეოდენი ხნით ვრჩები თქვენთან და მრწამს, რომ თქვენ გმირულად გამოიჩენთ თავს მტრისა და მოძმეთა წინაშე, იქნებით ძლევამოსილი მხედრობა. ნუ დაივიწყებთ, რომ ღმერთი მარად ჩვენთან არის! იყავით ძლიერნი სულით და თქვენ ღირსი გახდებით თქვენს მამათა სულისა, რომელნიც კავკასიაში განისვენებენ. თქვენ „მოსკოველთაგან“ უნდა იხსნათ თქვენი მომლოდინე ძმები. გიმეორებთ: წინ! ყოველთვის წინ! ბედნიერება, დიდება და პატივი წინ გელობებათ! სირცხვილი, ვინც იოტოს! შერცხვენა და სიკვდილი უკუქცეულს! მთავარი სარდლის მოადგილე **ენვერი**“.

მართლაც, მჭერმეტყველურია: მიუხედავად ამისა, ენვერთან ახლო მდგომი ჯაოის უფროსი არიფი ცივად შეჰნიშნავს, რომ ეს სიტყვა მხოლოდ დეკლამაციააო. [illegible] ესევე იყო, რუსის [illegible] დაამტკიცა საქმით. დეკემბრის დასაწყისში ჯარებს თავი მოუყარეს ყარაურგანთან, სონამერსა, ხოროსანსა, მეჯინგერსა და სარაყამიშთან. ენვერმა განიზრახა ამ არმიის მოწყვეტა, რომ ყარსისა და სარიყამიშის შუა შეჭრილიყო, და რუსის ჯარებს ზურგიდან მოქცეოდა. ამ მიზნით ოსმალთა ჯარები თავისუფლად ნებდებოდნენ, უკან-უკან იხევდნენ და რუსის ჯარებს ოსმალეთის შიგნითკენ იტყუებდნენ. იმავე დროს მეორე ფრთა მოიწევდა ოლთისა, ბარლესსა და სარიყამიშისკენ. პირველი მათი ნაბიჯი, მართლაც, მათთვის ხელსაყრელად მიდიოდა. მათ ძალას წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს და 9 დეკ. დასტოვეს იდა, იოტეს ოლთისის ჩრდილოეთით. ოლთისის გამარჯვება ოსმალებმა მეტად გააზვიადეს. ასევე გაიმარჯვეს ბარდესზე. ენვერი საქმეს მოგებულად სთვლიდა. გათამამებული თავის ბრძანებაში წინდაწინვე დაღუპულად აღიარებს რუსთა მეცხრე და მეათე კორპუსებს. მის ღრმა რწმენას იზიარებდა ფონ-შელენდორფიც. 12 დეკ. ენვერიც და უსეც საქმეს სრულიად მოგებულადა სთვლიდნენ და წინდაწინვე იყოფდნენ იმ დათვის ტყავს, რომლის ბრჭყალების სიბასრე ახე საგრძნობელი იყო მთელი მათი განადგურებული არმიისთვის. (რუს. სლ.)



— გვშიან! გვშიან!

— ვაა!

# ჩვენი ცხოვრება

**წინამხარი** (ქიზიყი). წელს ძრიელ კარგს მოსავალს ველოდით ჭინახულისას და ვენახისას, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე დაიჟინა წვიმამ, რომ ლამის არის ყველაფერზე ხელი ავიღოთ. ქერებში შევიდა თუ არა ნამგალი, ასტყდა თქეში, მოვარდა ხევები და მთელი წინამხრის მინდორი დღეს მთლად დაფარულია წყლითა; აქა-იქ მოსჩანს წყალზევით თავთავები; საშინლად ადიდდა ალაზანიც და აქამდისინ ჩუმი მოდუდუნე დღეს ღრიალებს და ეჩხუბება არე-მარეს. სიღნაღ-ლაღოდეხის ტაშირით ალაზანზე გადებული რკინის ხიდი გასაჭირშია; ალაზანმა აქეთ-იქიდგან გადიხეთქა და ერთი მტკაველი-ღა აკლია რომ ხიდსაც ზედ თავზე გადაუაროს. მგზავრების მიმოსვლა ჯერ-ჯერობით შეწყეტილია. ხიდის ყურთან აშენებული დუქნები წყალში სდგას. არც მდ. კაბალმა დააკლო თავის საბძანებელს. კაბალის თათრების ერთი უბანი, როგორც გადმოგვცეს, წაუღია კაბალს და მრავალი ნათესებიც წაუხდენია. ალაზნის ყურეებში ნათესი ყანები სულ მოსპო ღვარმა და ალაზანმა. წინამხრის მინდორი გადაიქცა მთლიან ღელე—ტბად, რომლის წყალი აშმორდება თუ არა მოსდებს მხოვრებლებს ციებ-ცხელებას. ასეთი წყალდიდობა და ნოტიო წელიწადი კარგა ხანია არ გვინახავს.

ნ. გ.

—

### წერილი საინგილოდან

შავბნელით მოცულია და მოქუშული საინგილოს ცის კამარა. საქართველოს ამ მშვენიერსა და მომხიბლავს კუთხეს ირგვლივ შავი ღრუბელი ჩამოსწოლია და იგი წყვდიადით, ისევ წყვდიადით არის მოცული მისი არე-მარე. ამ გაერთიანებულს შავი ძაძით მოსილს ქვეყანაში ერთი ბეწვა ნათელიც კი არსად გამოსჭვივის, ერთი ბეწვა მკრთალი ნათელიც-კი არსადა ბჟუტავს, რომ ადამიანს იმედი, ცარიელა იმედი მაინც ჰქონდეს, რომ ოდესმე ეს ნაპერწკალი გუგუნა ცეცხლად, ვეებერთელა სხივად გადაიქცევა და გზას გაგვინათებს ყველასო. არა და ათასჯერ არა, ჩვენს გაჯანჯლებულს, პირქუშს ცხოვრებას არაფერი ამგვარი არ ეტყობა და ერთს წერტილზედ ვართ გარიყულ-გაყინულნი.

აი, თუ არ გჯერათ, ყური დაგვიგდევით და სმენად გადაიქეცით. ავიღოთ ჯერ სახალხო განათლება, რომელიც ყველაზედ დიდს ჭრილობას შეადგენს საინგილოს დაავადმყოფებულ სხეულისათვის. სახალხო სკოლებით ხომ არ ვართ მდიდარნი და არა, ეს ყველამ კარგად იცით, ვისაც იოტის ოდნათ მაინც არის ეინტერესება ჩვენი განაპირა ქვეყნის სვებედი და გაჭირვება-დალხინება. მაგრამ ორს დიდს სოფელში, როგორც ალიაბათი, ცენტრი მუსულმან ინგილოებისა და კაკი, ცენტრი ქრისტიან ინგილოებისა, სამინისტროს სასწავლებლებია: ალიაბათში ორკლასიანი პირველდაწყებითი, ხოლო გაკში ორკლასიანი ნორმალური ოთხის მასწავლებლით. ერთშიც და მეორეშიც ქართული ენა აბუჩად არის აგდებული და მასზედ არავინ ზრუნავს. ალიაბათში—ამ უდიდეს სოფელში ორი ათასის მცხოვრებით, იყო, არის და იქნება სამშობლო დედაენად ქართული ენა. თუმცა ქართველები აქ სარწმუნოებით მუსულმანები არიან, მ-გრამ ისეთს მშვენიერს ქართულს ლაპარაკობენ, რომ ბევრს წმინდა წყლის ქართველსაც-კი შეშურდება. აი ამ სოფლის სასწავლებელში ქართული სწავლება და ხსენება არ ყოფილა როდისმე, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველთვის განსაკუთრებით ქართველები ყოფილან მოსწავლენი. რა არის მიზეზი? იქნება 1881 წლის, ორის მეფის მოადგილისაგან დამტკიცებულის, განთქმულის გამარუსებელის პოლიტიკით იანოვსკისაგან შედგენილ პირველ-დაწყებითი სასწავლებლების პროგრამას მათთან არ მიუხწევია! ან იქნება სკოლის ბატონ-პატრონნი იმავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ როგორც აჭარაში ე. ი. თუ ქართველი მუსულმანია—ის ხომ ოსმალო-თათრისა და ქართული მას რად უნდა. ასეა თუ ისე ქართველების ალიაბათის სკოლიდგან სრულიად განდევნილი არის ქართული ენა, და ერთი გულშემატკივარი არ გამოჩენილა დღემდის რომ ხმა ამოიღოს ამაზედ.

აი, ასე დავკნინდით და დავეცით.

ამის გამო, რომ მთელს ალიაბათის ნაწილში, საქართველოს ამ ძველს პროვინციაში, ენისელად წოდებულში (ეხლა ეს სახელწოდება, რიგორც მრავალი სხვა ქართული, სრულიად აღმოფხვრილა საინგილოში), ქართულის წერა-კითვის მცოდნე სრულიად არ მოიძებნება, და იმავ დროს თათრულისა და გინდა რუსულისაც, მოგეცათ ღვთის წყალობა, ბლომად არიან. ვეძიე, ვიკითხე მთელს საბოქაულოში ქართულის წერა-კითხვის მცოდნე, მინდოდა ქართლი კურანი მიმეცა ვისთვისმე და ბოლოს სოფელ მასულში ერთად-ერთი კაცი ძლივს ვიპოვნე. გამეხარდა, ცას დავეწიე, მივეცი წიგნი და მშვენივრად წაიკითხა. ჩემს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ვკითკე ვინ გასწავლა-მეთქი.— ერთი ღვთისნიერი მასწავლებელი იყო ალიაბათში, გვარი არ მახსოვს, იმან მასწავლა, მე დიდის სიამოვნებით ვმეცადინეობდი, მინდოდა ქართული წიგნების კითხვა, მარამ ეჰ, სთქვა ინგილომ, ჩვენ რომ არაფერში იღბალი არა გვაქვს, ის კეთილი მასწავლებელი ჩქარა მოგვაშორეს და შემდეგ ისეთს მასწავლებელს გვინიშნავენ, რომლებმაც თვითონაც არ იციან ქართული.

ახლა კაკის სასწავლებელზედ გადავიდეთ. აქ, როგორც ზევითა ვსთქვით, ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელია, ოთხის მასწავლებლით. აქ თავდაპირველად ქართული ენის სწავლება სრულიად განდევნილი იყო. მაგრამ 1905 წ., მოძრაობის დროს ხალხმა დიდის წვალების შემდეგ შემოაღებინა ქართული ენის სწავლება ნორმალურს სასწავლებელში. მაგრამ სავალალო აქ ის არის, რომ თუმცა შემოღებით კი შემოიღეს ქართული ენა, მაგრამ ამას მხოლოდ პირველ წელიწადს ასწავლიან, შემდეგ წლებში კი სრულიად ისპობა მისი ხსენება და საბრალო მოსწავლეთ, რომელნიც საკმარისად არ არიან გავარჯიშებულნი ქართულს წერა-კითხვაში, უმეტეს შემთხვევაში ისევ ავიწყდებათ იგი და მხოლოდ ზოგიერთს მუყაითსა და ბეჯითს რჩება მისი ცოდნა, თუ რასაკვირელია, სახლშიაც განაგრძო მისი შესწავლა. და აი, ამ გვარად მადლი ჰქმნეს, მაგრამ მარილი კი არ მოაყარეს და თითქმის უნაყოფოდ მიდის ერთი წლის ნამუშევარი:

ყველა ამ გარემოებათა გამო საინგილოს ახალთაობში იშვიათია ქართული ენისა და მწერლობის მცოდნე, იშვიათია ისეთი კაცი, რომ ქართველთა ცხოვრება ეინტერესებოდეს და თვალყურს ადევნებდეს მას. ასე გასინჯეთ, სანთლით საძებნელია ისეთი ინგილოც, რომელიც ქართულ გაზეთს იწერდეს, თუმცა ამისთვის შეძლება და ქონება ბევრს მოსდევს. მოგეცათ წყალობა, რომ გადაგვარებულთა რიცხვი საშინელის სისწრაფით მიდის წინ*), თუ მუსულმანი ინგილოები თათრდებიან, ქრისტიანები კიდევ, ვისაც ცოტა რამე უსწავლია, სრულიად აღარ კადრულობს ქართულად ლაპარაკს და მოქართულე ადამიანს ტუჩს უბზუებს. ვისაც კი გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებელში უსწავლნია, ისე გადაგვარებულან, რომ ხშირად საბრალო მშობლებსაც კი აღარ სწერენ ქართულად წერილს. ხშირად შემხვედრია საბრალო დედა წერილით ხელში. ხვეწნით მოუმართავს:—დედაშვილობას, ეს წერილი წამიკითხე, რას იწერება ჩემი გიგოლ (შვილი) და თან რუსულად დაწერილს წერილს გამომიშვერს.

ასეა დღეს-დღეისობით ქართული ენის საქმე საინგილოში და თუ დროით არ უშველეთ, მე მგონი ბოლოს გვიანღა იქნება თითზედ კბენანი. საჭიროა წერა-კითხვის საზოგადოებამ მიაქციოს ამ გარემოებას ფიცხელი ყურადღება და თავისს ერთ-ერთ პირველ მოვალეობად დაისახოს საინგილოში ერთ-ორი სკოლის გახსნა, თუ გვინდა, რომ ქართველთა ხსენება სრულიად არ ამოვარდეს საინგილოში.

თუ არა ვსცდები, ამ საქმის განსახორციელებლად ერთს დროს ექიმმა ტურიაშვილმა ფულით დახმარება აღუთქვა წერა-კითხვის საზოგადოებას და ყოველ წლიურად ათი თუმნის გადახდას კისრულობდა.

დროა, ბატონებო, ამ საქმეს ჩქარა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება.

ედილი.

—

„უდაბნოს სენაკები“

ზედ თელავის გზა-ტკეცილზე, სოფელ მუხროვანთან, მაღალ კლდეში გამოკვეთილია სენაკები, სახელ-წოდებით „უდაბნო“. კლდე თითქოს განგებ არის დახურული გვერდებიდან გაშავებულ და ბალახით შემოსილ ტინით. კლდის თავში კი მოსჩანს პატარა კარი. კლდეში სულ სამი სენაკია. პირველი სულ გაფუჭებულა, მეორე თითქოს დაუსრულებელია და მესამე კი მშვენიერს ეკლესიას წარმოადგენს. ეს განყოფილება თავიდან ბოლომდე შემკულია მხატვრობითა და წარწერებით. ამ მხატვრობათა შორის შესანიშნავია მინიატიურები წმ. ნინოს ცხოვრებიდან. მხატვრობა ძველის ძველია, როგორც ამბობენ, ვახტანგ გორგასლანის დროისა. მხატვრობა რომ ძველის ძველია, ეს აშკარაა ყოველ მნახველისთვის და თუ მტერმა აქამდე ვერ გააფუჭა, ეს იმისათვის, რომ იგი უცხოსთვის მეტად შეუმჩნეველია. საუბედუროდ ეს ნაშთი გაფუჭებულია და დაზიანებული აქაურ ჯარისკაცთა და თათრის მწყემსების მიერ. ნახევარი ქვეითა ნაწილი მხატვრობისა ჩამოცვენულია და რაც დარჩენილა უწვალებიათ კომბლებით და ხანჯლით. სამწუხაროა ისიც, რომ ჩვეულებრივ ავდარში აქ საქონელი შეჰყავთ. ზევითა ნაწილი მხატვრობისა, კვლავ დაატკბობს მოგზაურს, მასში ჯერ არ გამქრალა მშვენიერება და უკვდავი ხელი—ხელოვანისა...

კარგი იქნებოდა ვინმე ჩვენ მეისტორიეს ენახა და გადაეღო ეს ნახატები, რაიცა ფრიად ძვირფასი იქნება ქართულ ისტორიისთვის...

გ. ლეონიძე.

## მართლაც გასაკვირალია.

რუსეთის გამოჩენილ მოარაკეს კრილოვს აქვს ერთი არაკი იმის შესახებ თუ როგორ იყო, რომ კამათობდნენ ერთმანეთ შორის ძიძები სხვა ბავშვზე და მათი ბავშვი კი ამ დროს წყალში გადავარდა და დაიხრჩო. არის—დაუმატებს კრილოვი—ზოგი ვაჟბატონები, ისინი კამათობენ ჩინეთის სამეფო ტახტზე, საფრანგეთის საქმეებზე, კამათობენ ყველაფერ იმაზე, რაც მათი საქმე არაა, და ხედავ, ამავე დროს მათ ცხვირის წინ საკუთარი სოფელი კი სულ ამოებუგებათ ცეცხლით ისე, რომ ვერც კი შეამჩნევენო.

უნებურად გამახსენდა ეს არაკი, როდესაც ქალაქის მოღვაწეთა კრებაზე უნდა შეტანილიყო სწრაფი შეკითხვა ქუთაისის გუბერნიაში დამშეულთა შესახებ და ამ შეკითხვის ინიციატორებმა მიმართეს სხვა და სხვა ქართველ წარმომადგენლებს მხარის დასაჭერად.

— უნდა მოგახსენოთ—ბრძანა თავ, ანდრონიკაშვილმა—რომ მაგას ეხლა მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან ზომები მგონი მიღებულია. გარდა ამისა, სრულიად არა ვარ გაცნობილი მაგ მოვლენასთან. ეს ქუთაისის წარმომადგენლებს ეხება და მათ მიმართეთო“.

როგორ მოგწონს მკითხველო? ბათომის ქალაქის თავი, საზოგადო მოღვაწე, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქის მეთაური—ამავე დასავლეთ საქართველოს შიმშილით განადგურების შესახებ საკითხს პირდაპირ არეხება, ეს ქუთაისლების საქმეაო—და ამავე დროს მას ეხება საქმე საზღვაო გზის გაუმჯობესებისა, ბულგარიის ნეიტრალიტეტის დაცვისა და გამოქცეულ აისორთა და სხვათა დახმარებისა. ჭეშმარიტად, მას საკუთარი ქვეყანა თვალ-წინ ამოებუგება და ის სრულიად დამშვიდებული იმსჯელებს ჩინეთის პოლიტიკაზე.

ამავე ხასიათის გამოდგა პასუხი ქუთაისის წარმომადგენლებისა (ბ. ქორიძე, ექ. ს. ჯაფარიძე და ფოთისა—ტყემალაძე). მათ გულცივათ ბრძანეს, რომ რა საჭიროა მაგაზე თავის შეწუხება, ან რა მნიშვნელობა ექნებაო.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირალი ბ. კიტა აბაშიძის პასუხი იყო. მან არა თუ შეიწუხა თავი და მოინდომა ამ საკითხზე ალაპარაკება—სხვასაც დაუშალა (იქვე კორიდორში მდგომთ,—რომლებიც ყოყმანობდნენ) და დაურიდებლად განაცხადა: ვის გაუგონია შიმშილზე ლაპარაკი საჯაროდ, ეს სირცხვილიაო.

ნუ დავივიწყებთ, მკითხველო, რომ ეს პასუხი გვესმის იმ დროს, როცა ყოველ დღე უფრო და უფრო გულშემზარავი ამბები მოდის პროვინციიდან, რომ ის ორიოდე ვაგონი სიმინდი, რომელიც ძლივს ჩაიტანეს სამეგრელოში—და ერთი ვაგონიც გურიაში—წვეთია ზღვაში და დამშეულთა რიცხვი ბევრად უფრო მეტია ვიდრე ამას პრესაში ვკითხულობთ.

იმ დროს, როცა დამშეულები შორეულ სოფლებიდან ჩამოდიან დაბებში, ძალით გააქვთ ფქვილი და ქუჩაში პურს იცხობენ (ამის სურათი კრებაზე იყო) და ჯერ კიდევ არავინ იცის სრულიად უსახსრო გლეხთა მდგომარეობა, რომლებსაც არც კი შეუძლიანთ სიმინდის ყიდვა,—რომც საკმაოდ ჩაიტანონ იქ, კიდევ რა საშინელ სახეს მიიღებს. და ამ დროს ჩვენი მესვეურნი შიმშილზე ლაპარაკს სასირცხვილოდ სთვლიან!

მართლაც გასაკვირალია!

თ. კ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

*) ამის შესახებ ცალკე ვრცელს წერილს მოვათავსებთ გაზეთში.

### მაზანდა თბილისის ბაზარზედ

29-ს მაისს

| | |
|---|---|
| ბალი შავი | 9 მან. |
| „ წითელი | 5 „ |
| „ თეთრი | 4 „ |
| ალუბალი | 4 მ. 50კ. |
| ატამი | 6 მ. |
| ტყემალი | 2 მ. 40კ. |
| კობოსტო | 1 მ. 20კ. |

30-ს მაისს

| | |
|---|---|
| ბალი თეთრი | 4 მ. |
| ალუბალი | 4 მ. |
| ატამი | 6 მ. |
| ტყემალი | 2 მ. 40 კ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა
(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

| | |
|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. 13 წ. დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ 40 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ | 8 „ 58 „ „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 06 „ „ |
| ივრიდან | 21 „ 15 „ „ |
| საგარეჯოდან | 11 „ 58 „ „ |
| ბადიაურიდან | 12 „ 56 „ „ |
| მელაანიდან | 2 ს. 16 წ. საღ. |
| გურჯაანიდან | 3 „ 37 „ „ |
| კარდენახიდან | 4 „ 12 „ „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ 44 „ „ |

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

| | |
|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. 42 წ. საღ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 33 „ „ |
| თელავში | 5 „ 27 „ „ |

თბილისისკენ მოდის:

| | |
|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. 58 წ. დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 41 „ „ |
| გურჯაანიდან | 10 , 24 „ „ |
| მელაანიდან | 11 „ 39 „ „ |
| ბადიაურიდან | 12 „ 59 „ დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ 80 „ „ |
| ივრიდან | 2 „ 50 „ „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 55 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 58 „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ 13 „ „ |
| თბილისში | 5 „ 28 „ „ |

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

| | |
|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 54 წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 25 „ „ |
| გურჯაანში | 10 „ 07 „ „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

| | |
|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. 51 წ. დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ |

თბილისიდან გადის:

| | |
|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს 53 წ. საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა.
25—7

საკომისიო კანტორა
ი. ტ. გვა[illegible]
თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05
რეგისტრაცია თავისუფალ ბინისა; გადაწერა და სწავლა საწერ მაშინაზე; მიცემა ცნობისა ყოველგვარ დაწესებულებიდან; შუამავლობა უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და იჯარით გასაცემად; ვკისრულობთ ყოველგვარ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან.
მონდობილებას სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8—6—1)

ჟურნალ-გაზეთების კანტორა
განთიადში
თბილისი, მიხაილოვის პროსპექტი № 18
იყიდება ქართული ქარტა 50 კაპ. ქარტაში მოთავსებულია
1. კავკასია-სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრები. 2. ოსმალეთი და მისი მახლობელი სახელმწიფოები, 3. ქვემო ეგვიპტე სუეცის არხით. 4. იტალია ავსტრია-უნგრეთის ბრძოლის ასპარეზი.
ვინც 1 ცალს გამოიწერს, მან გასაგზავნი 15 კაპ. უნდა დაუმატოს, ხოლო ვინც 10 ცალს—40 კაპ. დაეთმობა და გასაგზავნი არ გადახდება. შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნა. ქარტა ნისიათ და ფასდადებით არავის არ გაეგზავნება.
მისამართი: Тифлисъ, „Гантіади“ поч. ящ. № 21. Г. М. Махарадзе.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“
(„НОВАЯ РѢЧЬ“.)
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—5)

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი
„ახალი ქართლი“
ფასი: ერითის წლით 5 მან., 6 თვით 3 მანეთი, სამის თვით 1 მ. 50 კ., ერთის თვით 50 კ.
ხელის მომწერამიიღება „ახალი ქართლილი“-ს კანტორაში, გორი სამეფო ქ. № 15.

მეხილეთა ამხანაგობა
„ქართლი“
„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
თანამედროვე აზრი
გაზეთი ღირს: მთელი წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ.; ერთი თვით თბილისში—80 კაპ., თბილისს გარეთ—90 კაპ.
ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, поч. ящ. 199; Евгенію Илларіоновичу Урушадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. წერილები კი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, „Танамедрове Азри“, почтов. ящ. 199.
კანტორის ადრესი: თბილისი, ბარონის ქუჩა, № 15.

მიიღება ხელის მოწერა
1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო თვიური ჟურნალი
„ახალი მოამბე“
ფასი: წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან.
მისამართი: Тифлисъ, ред. груз. журн. „Ахали Моамбэ“ Ив. Сп. Эліашвили.
რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეჟ. ყიფიანისა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სამშობლო“
(გამოდის ქუთაისში)
ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით
გაზეთი ღირს:
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე

ისწრაფ-ბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.
ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან